პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 116 (20812) — ხუთშაბათი, 17 მაისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

გუშინ საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობამ დაასრულა თავისი მუშაობის პირველი ეტაპი.

არჩეული არიან სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატები, რომლებსაც დაევალათ საკავშირო ფორუმს წარუდგინონ რესპუბლიკის კომპარტიის მტკიცე პოზიცია.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა: დამთავრდა პირველი ეტაპი

16 მაისს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ განაგრძო მუშაობა.

სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ პ. ვ. ინგოროყვამ დამსწრეთ მოახსენა ფარული კენჭისყრის შედეგები.

ყრილობამ დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის ინფორმაცია. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას კომუნისტთა საკავშირო ფორუმზე წარმოადგენს 98 დელეგატი.

დასასრულ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე.

მხარი დაუჭირეს რა წინა დღეს გამოთქმულ წინადადებებს, გადაწყდა შეწყვიტონ ყრილობის მუშაობა და განაახლონ იგი მას შემდეგ, რაც პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ განიხილავენ საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული აგებულების ძირითად დებულებათა პროექტს. ამასთან დაკავშირებით გადაიდო რესპუბლიკის კომპარტიის სტატუსის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ყრილობაზე მისი დელეგატებისაგან შეიქმნა კომისიები: საქართველოს კომპარტიის არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირებისა და შემადგენლობის შესახებ წინადადებათა; საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პლატფორმის შემმუშავებელი; საქართველოს კომპარტიის ყრილობის რეზოლუციისა და სხვა დოკუმენტების მოსამზადებელი; საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციის რეალიზაციის კონკრეტული პროგრამის შემმუშავებელი.

შეაჯამა რა ყრილობის ამ ეტაპის შედეგები, გ. გუმბარიძემ აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა პარტიის ერთიანობის შენარჩუნების, მისი თავისთავადობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიას თავის დანიშნულებად მიაჩნია ემსახუროს ხალხის ინტერესებს, დარაზმოს კომუნისტები საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის, მისი სუვერენიტეტის რეალური განხორციელებისათვის.

ყრილობამ დაავალა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან არჩეულ სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებს გააცნონ მის მონაწილეებს რესპუბლიკის კომპარტიის ეს მტკიცე პოზიცია.

ამით საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობის პირველი ეტაპი.

(საქინფორმი).

ჰ. მუბარაქი მოსკოვში

15 მაისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰ. მუბარაქის მოლაპარაკება, რომელიც უმთავრესად პირისპირ, შემდეგ დელეგაციების შემადგენლობით მიმდინარეობდა.

ეგვიპტის პრეზიდენტის ვიზიტი, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, მიგვაჩნია მაღშტაბურ მოვლენად არა მარტო ორი ქვეყნისა და არაბთა სამყაროსათვის, არამედ საერთოშაოფლიო პროცესების კონტექსტითაც. ჰ. მუბარაქის სახით მიესალმებით დიდი ხალხის ხელმძღვანელს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირადი კონტაქტის დამყარებას უმაღლეს დონეზე.

გაიმართა ეგვიპტეში ჰ. მუბარაქის ხელმძღვანელობით განხორციელებული ცვლილებების, სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების შესახებ ინფორმაციის გაცვლა. საუბარში დიდი ადგილი დაიკავა ახლო აღმოსავლეთმა. პრინციპული თვალსაზრისით შეეხნენ ორმხრივი ეკონომიკური და სხვა თანამშრომლობის საკითხებს. ამ საკითხებს დეტალურად განიხილავენ ამ დღეებში შესაბამის დონეებზე პრეზიდენტების შეხვედრით შექმნილ ატმოსფეროში, რომელმაც გამოავლინა დიდი პოტენციალი ყველა მიმართულებით ნაყოფიერი ურთიერთობის განვითარებისათვის.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ე. ა. შევარდნაძე, ე. მ. პრიმაკოვი და სხვა ოფიციალური პირნი; ეგვიპტის მხრივ — ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანმხლები ოფიციალური პირნი.

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვმა და ჰ. მუბარაქმა ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის დეკლარაციას.

სსრ კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიკური, სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის 2 ათას წლამდე პერიოდის გრძელვადიან პროგრამას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ა. სიტარიანმა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ქამალ ელგანზურიმ.

გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის შეხვედრა ჰ. მუბარაქთან. განიხილეს საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის ძირითადი საკითხები, ორ ქვეყანას შორის საავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის მდგომარეობა, დადებითი შეფასება მისცეს მომავალ პერიოდის მისი განვითარების პერსპექტივებს.

სსრ კავშირის მთავრობის მეთაურმა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამოფენის — „ეგვიპტე საბჭოთა კავშირში. 1990“ — გახსნის ცერემონიაში. ეგვიპტის 120 ფირმა აქ უჩვენებს მოსახლეობისათვის საჭირო საქონელს, რომელიც შემოთავაზებულია საბჭოთა კავშირში ექსპორტისათვის.

სსრ კავშირის პრეზიდენტმა და რ. მ. გორბაჩოვამ სადილი გაუმართეს ჰ. მუბარაქსა და მის მეუღლეს ს. მუბარაქს.

სტუმართან ერთად იყვნენ მისი თანმხლები ეგვიპტელი ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ მ. ს. გორბაჩოვი, მეუღლეთურთ, ნ. ი. რიჟკოვი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. ლუკიანოვი, სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს წევრები და სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მ. ს. გორბაჩოვმა და ჰ. მუბარაქმა სიტყვები წარმოთქვეს.

ჰ. მუბარაქი ეწვია ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს და გვირგვინით შეამკო იგი. გვირგვინი მიიტანეს ალექსანდრეს ბაღში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გ. გუმბარიძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე 1990 წლის 16 მაისს

ამხანაგებო!

ალბათ, ამ ერთი-ორი წლის წინათ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა, რომ ასეთი მწვავე, თანადროული და აქტუალური იქნებოდა ჩვენი ყრილობის დღის წესრიგი, ასე პრინციპულად, მასშტაბურად და საფუძვლიანად განიხილავდა იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის არსებითს განახლებასთან, რესპუბლიკის სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

დიდი ხანია, კომუნისტებს, ხალხს, მთელს საზოგადოებრიობას აწუხებს ეს პრობლემები. ისინი თანდათანობით გროვდებოდა, მწიფდებოდა და, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო გამოსავალი არ ეპოვნა. მათ შესახებ ბევრი რამ უკვე ითქვა. ჩვენს ყრილობაზე, მის მოსამზადებელ ეტაპზე, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში, კომუნისტებთან გამართულ შეხვედრებზე გვქონდა მწვავე დისკუსიები, გულახდილი დიალოგი, აზრთა გაზიარება, რომელიც სულ უფრო კონსტრუქციული, კეთილმოსურნე ხასიათისა ხდება. ცხადია, კვლავაც უნდა გავაგრძელოთ ასეთი თანამშრომლობა, ასეთი ურთიერთობა, მივცეთ მათ სისტემატური ხასიათი, გავხადოთ უფრო ქმედითი, მრავალმხრივი, წარმომადგენლობითი, აქტიურად ჩავაბათ მასში ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ძალები.

მწვავე, მომწიფებული, ნლების განმავლობაში დაგროვილი საკითხების ჩვენს ყრილობაზე დაყენება, მათ გარშემო ღრმა, დაინტერესებული მსჯელობა, უდავოა, ხელს შეუწყობს ჩვენი საზოგადოების კონსოლიდაციას, საერთო პოზიციის გამომუშავებას, აქტუალური საზოგადოებრივი და ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის გზების კონსტრუქციულ ძიებას.

საგულისხმოა ისიც, რომ ყრილობის მუშაობის პერიოდში აშკარად გამოიკვეთა მისწრაფება ერთიანობისაკენ, პოზიტიური თანამშრომლობისაკენ. **შეხედულებათა ბუნებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, თითოეულ გამოსვლაში იგრძნობოდა მთავარი — პრინციპული პრობლემებისადმი მიდგომების ერთიანობა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ტენდენციაა, რადგან იგი, უნინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაზე დამყარებული ერთიანობიდან ნამდვილად აზრობრივ, პროგრამულ, დემოკრატიულ საფუძველზე ეერთიანდებით.** ეს კი ამ ეტაპზე ჩვენი უპირველესი ამოცანაა. იმის საჭიროება ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე დელეგატების გამოსვლებში. ვფიქრობთ, უთუოდ საყურადღებოა გამოთქმული მოსაზრებები რესპუბლიკის კომპარტიის მთლიანობის შენარჩუნების, ჩვენი პარტიული რიგების, საერთოდ, თაობათა ერთიანობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცების შესახებ, რაც ქუთაისის დელეგაციამ შემოგვთავაზა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული სხვა ამხანაგების გამოსვლებიც.

დღეს პარტიის ერთიანობას უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მთელი საქართველოსათვის. **რესპუბლიკის კომპარტია მტკიცედ ადგას ჭეშმარიტი თავისთავადობისა და დამოუკიდებლობის გზას, რომელსაც მით უფრო წარმატებით გავიელით, რაც უფრო მტკიცედ იქნება შეკავშირებული ჩვენი რიგები.**

დღეს მრავალ გამოსვლაში გაისმა მწვავე კრიტიკა პარტიული მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებების გამო. ითქვა, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაციის, ბიუროს და კომიტეტის საქმიანობის ფორმები და მეთოდები არ შეესაბამება გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის მოთხოვნებს. ხშირად ჯეროვანი კავშირი არა გვაქვს ხალხთან, შრომით კოლექტივებთან, საზოგადოებრიობასთან. ეს შეეხება როგორც რესპუბლიკურ, ასევე ძირეულ რგოლებსაც, დაწყებული პირველადი პარტიული ორგანიზაციებით და ცენტრალური კომიტეტით დამთავრებული. უთუოდ უნდა გამოვიტანოთ აქედან საჭირო დასკვნები.

ყრილობაზე ისიც ითქვა, რომ აუცილებელია პარტიული მუშაობის ცენტრში ადამიანები გვყავდნენ. უნდა ვზრუნავდეთ მათს კეთილდღეობაზე, ვიცოდეთ მათი საჭიროება. ეს შეეხება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, ჩვენი საზოგადოების ყველა წევრს. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, უთუოდ იმსახურებს ყურადღებას პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძისა და ზოგიერთი სხვა დელეგატის მოსაზრებები. როგორც გუშინ მოგახსენეთ, ამ საკითხის მოსაგვარებლად უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა უკვე შექმნა საგანგებო სამუშაო ჯგუფი, რომელიც რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების მონაწილეობით უახლოეს ხანში წარმოადგენს ამ საკითხზე სათანადო წინადადებებს.

საქართველოს კომპარტია თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მუდამ ცდილობდა როგორც სხვადასხვა სოციალური ფენის, ისე საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთა ინტერესების ინტეგრაციას. ყრილობამ დაგვანახა, რომ ძირითადად სწორად ვწყვეტდით ამ საკითხებს. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება და სრულყოფა, ნაკლოვანებების გათვალისწინება.

ყრილობის დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს იმის შესახებაც, რომ დაუშვებელია და არ უნდა შევურიგდეთ რესპუბლიკაში არაკონსტიტუციურ მოქმედებებს, კანონებისა და ხელისუფლების ორგანოების უგულებელყოფის ცდებს. ეს სწორი პოზიციაა და იგი ყველამ უნდა გავითვალისწინოთ.

მთავრდება ჩვენი ყრილობის პირველი ეტაპი. ალბათ, დამეთანხმებით, რომ მან უთუოდ შეასრულა თავისი მისია როგორც ჩატარების ფორმებისა და შინაარსის, ისე გადასაწყვეტ პრობლემათა განხილვის სილრმითაც. **ყრილობამ დაამტკიცა, რომ საქართველოს კომპარტია დადგა განახლების, თვითგამორკვევის, პარტიული სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის პოზიციაზე.** თუ ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონით, ერთად ვიქნებით, ვიცხოვრებთ და ვიშრომებთ ხალხის ინტერესებით, უეჭველია, ამით ავტორიტეტს ავუმაღლებთ საქართველოს კომპარტიას, ნამდვილად გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადავაქცევთ მას. ეს კი ჩვენი უმთავრესი ამოცანაა.

ჩვენი გუშინდელი მოლაპარაკების თანახმად, ამ დილით შეიკრიბა ყრილობის სარედაქციო კომისია, რომელმაც დელეგატების მიერ გამოთქმული წინადადებების საფუძველზე მრავალ საყურადღებო საკითხზე შეიმუშავა ყრილობისათვის წარსადგენი წინადადებები. ნება მომეცით, გაგაცნოთ ეს წინადადებები.

1. საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების პროექტთან დაკავშირებით დაევალოს სარედაქციო კომისიას გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით მოამზადოს ეს დოკუმენტი გამოსაქვეყნებლად და დაგზავნოს იგი პირველად პარტიულ ორგანიზაციებში განსახილველად. პროექტში აისახოს განვლილი ეტაპის ობიექტური ანალიზი და დღევანდელი რეალობა, მისწრაფებანი და მიზნები, მათი განხორციელების სტრატეგია და ტაქტიკა.

რესპუბლიკის კომპარტიის პროგრამული და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების პროექტს **დაემატოს შესავალი ნაწილი, სადაც მკაფიოდ ითქვას, რომ საქართველოს კომპარტია აღიარებს და გმობს თავისი ისტორიის მანძილზე დაშვებულ შეცდომებსა და გადახრებს, რომლებიც მიუღებელია ჩვენი პარტიის ახალი პროგრამული მიზნებისათვის.** აქვე ნათლად ჩამოყალიბდეს ის ძირითადი მოტივები და მიზეზები, რომლებმაც განაპირობა ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნა.

საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მოაწყონ საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა პროექტის განხილვა და გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ყრილობის სარედაქციო კომისიას დაევალოს შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების სისტემატური ანალიზი და განზოგადება, მათი გათვალისწინებით ამ დოკუმენტის პროექტის სრულყოფილი მომზადება ყრილობის მეორე ეტაპზე განსახილველად და დასამტკიცებლად. ასეთი ფართო განხილვისა და დამტკიცების შემდეგ იგი რესპუბლიკის კომპარტიის საქმიანობის პრინციპულ საფუძვლად ჩაითვალოს.

2. ყრილობის შუა პერიოდში დელეგატების მიზანმიმართული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას შემდეგი კომისიები:

— საქართველოს კომპარტიის არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობის შესახებ წინადადებების შემუშავების კომისია;

— საქართველოს კომპარტიის საარჩევნო პლატფორმის ჩამოყალიბების კომისია;

— ყრილობის რეზოლუციისა და სხვა დოკუმენტების მომზადების კომისია;

— საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციის რეალიზაციის კონკრეტული პროგრამის მომზადების კომისია.

ყველა ამ კომისიის საქმიანობის კოორდინაცია, აგრეთვე ეროვნული განვითარების კონცეფციის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით შემოსული წინადადებების განზოგადება უნდა უზრუნველყოს **სარედაქციო კომისიამ.**

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ყრილობის დელეგატები მათივე სურვილის გათვალისწინებით გაერთიანდნენ ამ კომისიებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაევალოს, დააკომპლექტოს ეს კომისიები და გადაწყვიტოს მათი მუშაობის ორგანიზაციული საკითხები.

3. ყრილობაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობაზე საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან წარგზავნილი დელეგატების პოზიცია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

— საქართველოს კომუნისტური პარტია უნდა იყოს ნებაყოფლობით გაერთიანებულ რესპუბლიკის მოქალაქეთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც იხელმძღვანელებს საქართველოს კონსტიტუციით და მიზნად დაისახავს ჰუმანური, დემოკრატიული საზოგადოების აშენებას და რეალურად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს, საერთო-სახალხო ინტერესის უზენაესობას;

— საქართველოს კომპარტია იმოქმედებს საკუთარი საპროგრამო და ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ყოველმხრივ უნდა იფვალისწინებდნენ რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებს. სრულიად ახლებური უნდა იყოს **საბჭოთა** კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებთან საქართველოს კომპარტიის ურთიერთობის პრინციპები;

— აუცილებელია შეიქმნას რესპუბლიკათა დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი კომპარტიების თვისებრივად სრულიად ახალი, პარტიტუსი საფუძველზე აგებული ურთიერთკავშირი.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი ცვლილებების შეტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ პლატფორმისა და წესდების პროექტის შესაბამის დებულებებში.

შემოსული წინადადებების შესაბამისად, მომზადდეს და ყრილობის მუშაობის მეორე ეტაპზე დელეგატებს მოხსენდეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციის რეალიზაციის კონკრეტული პროგრამა.

4. ყრილობაზე გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე აღიძრას საკითხი, რომ მომზადდეს წინადადებანი საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენისა და დამკვიდრების კონსტიტუციური მექანიზმის შესახებ.

აი, ასეთია წინადადებანი, რომლებიც ყრილობის დელეგატების მოსაზრების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა სარედაქციო კომისიამ. როგორი იქნება წინადადება? თუ ინონებთ, გთხოვთ, დაადასტუროთ მანდატების ანევით. ვინ არის მომხრე? ნინააღმდეგი ვინ არის? — ერთი. თავი ვინ შეიკავა? — ერთმა. ამრიგად, ხუთიოვე წინადადება მიღებულია.

დელეგატთა საერთო აზრია, რომ დღეს არ მთავრდება ჩვენი ყრილობის მუშაობა. აქტიურად უნდა გამოვიყენოთ წინასაყრილობო პერიოდში შეძენილი გამოცდილება. უკვე ვთქვით, რომ პრაქტიკულად თვეზე მეტია, რაც ყრილობა გრძელდება. ნაყოფიერი კონტაქტები გვქონდა კომუნისტებთან, პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან, შრომით კოლექტივებთან, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. გაიმართა საქმიანი, დაინტერესებული, მწვავე დისკუსიები, დიალოგი. ასეთივე კონსტრუქციული უნდა იყოს ყრილობის შუა პერიოდი როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ამის მაგალითს პარტიის ცენტრალური კომიტეტი უნდა იძლეოდეს. მან ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რათა მთელი ყრილობის შუა პერიოდი პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების, მისი სტილის, იდეოლოგიური და ორგანიზაციული სტრუქტურის რადიკალური განახლებისათვის გამოიყენოთ. ყველა პარტიულ ორგანიზაციაში, ქალაქსა და რაიონში, ავტონომიურ ფორმირებაში უნდა მოვაწყოთ საქართველოს კომპარტიის საპროგრამო დოკუმენტების განხილვა. უთუოდ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყრილობაზე მიღებული დოკუმენტები კომუნისტების უმრავლესობის აზრს გამოხატავდნენ და რეალურად იქცნენ ისინი ჩვენი განახლებული პარტიისათვის თვისებრივად ახალ საპროგრამო დოკუმენტებად.

ჩვენ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ განხილვაში მუშათა კლასის, ჩვენი გლეხობის, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანების აქტიურ მონაწილეობას. ყველა იმათ მონაწილეობას, ვინც დაინტერესებულია ჩვენი პარტიის მომავლით, მისი ძირეული განახლებითა და გარდაქმნით, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში კომპარტიის როლის ამაღლებით.

მადლობა გვინდა ვუთხრათ ყველას, ვინც აქტიურად უდგას მხარში რესპუბლიკის კომპარტიას მისთვის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო დროს და არ იშურებს თავის ძალას, ენერგიას და ნიჭს იმისათვის, რათა იგი ახალი მოთხოვნების სიმაღლეზე იდგეს, წყვეტდეს იმ დიდმასშტაბოვან ამოცანებს, რომლებიც ჩვენმა თანამედროვეობამ, გარდაქმნამ და საჯაროობამ, ისტორიამ დააკისრა.

გარდაქმნამ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტივიზაციამ არსებითად უცვალა სახე რესპუბლიკის კომპარტიას, მთელ საზოგადოებას. აშკარად შეინიშნება შეხედულებებისა და პოზიციების მრავალფეროვანი სპექტრი. ჩვენი ამოცანაა, უზრუნველყოთ სწორი პოლიტიკური ბალანსი, ვიპოვოთ არა მარტო ჩვენი პარტიული რიგების, არამედ საზოგადოების ყველა ჯანსაღი ძალის კონსოლიდაციის, მათი ძალისხმევის გაერთიანების პოლიტიკური ბერკეტები. ასეთია დღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიული მისია, რომელიც მას ჩვენმა რთულმა, ნინააღმდეგობრივმა, მაგრამ მეტად საინტერესო და საპასუხისმგებლო დრომ დააკისრა.

თუ დაგვეთანხმებით, შეიძლება ამით დავამთავროთ ყრილობის მუშაობის პირველი ეტაპი, თუმცა, ეჭვი არ გვეპარება, რომ დელეგატები ამ შუალედშიც აქტიურად იმუშავებენ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში, სისტემატურად მოგვანვდიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, თითოეული კომუნისტის მოსაზრებებს და თავიანთ ნვლილს შეიტანენ ყრილობის საპროგრამო დოკუმენტების განხილვასა და მომზადებაში.

ვინ არის მომხრე, ამით შევწყვიტოთ ყრილობის ამ ეტაპის მუშაობა? გთხოვთ, მანდატების ანევით დამიდასტუროთ. ვინ არის ნინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? — ერთმა. ამრიგად, ნინადადება მიღებულია.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ყველანი გამსჭვალული ვართ ერთი მიზნითა და ამოცანით — ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, ვემსახუროთ საქართველოს ხვალინდელ დღეს.

სამშობლოში გამგზავრა

16 მაისს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰ. მუბარაქი სიტყვით გამოვიდა კრემლში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა წინაშე. შეხვდა შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში. ამით დასრულდა სსრ კავშირის პრეზიდენტის მოწვეული ჩვენს ქვეყანაში გამართული მისი ოფიციალური მეგობრული ვიზიტის პროგრამა.

კრემლში გაიმართა ეგვიპტელი სტუმრის გაცილების ოფიციალური ცერემონია. ჰ. მუბარაქსა და მის მეუღლეს გულთბილად დაემშვიდობნენ სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი და მისი მეუღლე. კრემლიდან ავტომანქანების კორტეჟი მოტოციკლისტთა ესკორტით აეროპორტისაკენ გაემართა.

ვნუკოვოს აეროდრომზე ჰ. მუბარაქი გაიცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ, სსრ კავშირის პრეზიდენტის საბჭოს წევრმა ე. მ. პრიმაკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის პრეზიდენტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოწვეული სამუშაო ვიზიტად მყოფი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ოჩირბატი და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე გ. ოჩირბატი 15 მაისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ.

„შერემეტიევოს“ აეროპორტში, სადაც ბოძმართული იყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები, მონღოლი სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს წევრმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

გაიხსნა რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა პირველი

მოსკოვი, 16 მაისი. (საკდესი). დღეს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას შეუდგა რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა.

მის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. ლუკიანოვი, სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგები გამოაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ი. კაზაკოვმა.

დილის სხდომაზე დეპუტატები განიხილავენ ყრილობის მოწყობასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს.

დეპუტატებმა წარმოადგინეს დღის წესრიგის პროექტი — ყრილობის დროებითი რეგლამენტი, რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის არჩევა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევა, რუსეთის სფსრ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის საკითხები, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დამტკიცება, რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რუსეთის სფსრ პირველი რიგის კანონების შემუშავება და სხვა.

17 მაისს ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელეგატთა გამოსვლები

ამხ. ნ. მ. ლეკიშვილის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე)



ალბათ, არ ჩატარებულა არც ერთი ყრილობა, რომლისთვისაც ისტორიული თუ არა, საეტაპო მნიშვნელობა მაინც არ მიენიჭებინათ. მაგრამ აქაც ითქვა და ყველა კარგად ვგრძნობთ, რომ სწორედ ამჟამინდელი ყრილობა შეიძლება მივაკუთვნოთ განსაკუთრებულის კატეგორიას.

წინა ყრილობის შემდგომი პერიოდი ურთულესი იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი ერთი წელი. მოხსენებაში ითქვა ეს, ითქვა ისიც, თუ რა შეცდომები დაეუშვით ამ ხნის განმავლობაში.

9 აპრილიდან დღემდე მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, პოლიტიკურმა დაძაბულობამ, ეთნოკონფლიქტებმა თუ სხვა პრობლემებმა იმდენად დამუხტა ატმოსფერო საქართველოში, რომ ერთი მოუფიქრებელი ან მოუზომავი ნაბიჯიც კი შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო. ამიტომ მიმაჩნია, რომ შეიძლება ზოგიერთი არცთუ საუკეთესო გადაწყვეტილებისა და მოქმედების ფონზე, ან როგორც ხშირად ვამბობთ ხოლმე, თითქოს და გაუმართლებელი მოთმინებისა და დათმობების ფონზე მაინც სწორად იქნა გავლილი ეს გზა, და თუ სტაბილიზაციას ფარდობითობის თვალით შევხედავთ, ამ საქმიანობაში უნდა დავინახოთ სასიკეთოც.

სუვერენიტეტისაკენ მიმავალი გზა ისტორიული პროცესია, რომელსაც თავისი სტრატეგიული თანმიმდევრობა უნდა ახასიათებდეს. თუ არ გავითვალისწინებთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობებს, შეიძლება საფრთხეში ჩავაყენოთ ხალხის ბედი და ყველაფერი ის, რაც ასეთი სიძნელეებით იქნა მიღწეული.

ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს განვითარებული ეკონომიკა, საკუთრების ყველა ფორმა, ჩვენთვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურები,

ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლა მოითხოვს ტრადიციულ. შეხედულებათა დაძლევას, დრამოჭმული ეკონომიკური ურთიერთობების გადასინჯვას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კარს მომდგარი საბაზრო ეკონომიკა პირველ ხანებში ბუნებრივად წარმოშობს ეკონომიკურ, აგრეთვე სოციალურ, თუ გნებავთ, იდეოლოგიურ სიძნელეებს.

სამწუხაროდ, ამ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად სერიოზული დაბრკოლებები იქმნება სუბიექტური ხასიათის მიზეზების გამო. წინააღმდეგობები მწვავდება თითქმის ყველა სფეროში. საზოგადოების არნახულმა პოლიტიზაციამ ხალხის გამოღვიძების სასიკეთო ნაყოფთან ერთად მავნე გავლენა მოახდინა წესრიგზე, დისციპლინაზე, პასუხისმგებლობაზე, კანონიერების დაცვაზე. საზოგადოების მთელ რიგ წევრებში დაუსჯელობის გრძნობა იბუდებს. ამიტომ აუცილებლად უნდა ამაღლდეს ხელმძღვანელების, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოების და საერთოდ ყველას პასუხისმგებლობა. არ შეიძლება როდესაც ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერ უბანზე საკუთარ უსუსურობას თუ უმოქმედობას პოლიტიკური სიტუაციებით ეზსნით.

დღევანდელი ჩვენი ყრილობა, რთული ამოცანის წინაშე დგას, მან უნდა პასუხი გასცეს შეკითხვას, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს კომპარტიის სტატუსი, როგორი უნდა იყოს ფორმულა, რომელიც გაუძლებს ოპონენტების კრიტიკას მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც. კომუნისტებიც და უპარტიოები, ვისაც საქართველოს ბედი ადარდებს, მოითხოვენ ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც ახალ თვისებრივ საფუძველზე იმოქმედებს, ორგანულად გაითავისებს საზოგადოებრივ ინტერესებს, კონსტრუქციულად გადაწყვეტს ყველაზე მწვავე ეროვნულ, პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს, და რომელიც პარტიის სრულყოფილების, განახლების საშუალებად გადაიქცევა, მოხდება მისი თვითრეალიზაცია საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის სტატუსი უნდა განიხილებოდეს ისტორიული წარსულის კონტექსტით, აგრეთვე იმ მიმდინარე დღევანდელი და ხვალინდელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ხდება საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში.

დღეს უნდა განვიხილოთ დოკუმენტები, რომლებიც ხელთა გვაქვს. მათი მიღება ხალხის, პარტიული ორგანიზაციების აზრის გაუთვალისწინებლად ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია. თბილისელი დელეგატების დიდი უმრავლესობის აზრით, ყრილობის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ აუცილებლად უნდა მოხდეს მათი განხილვა, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში და შემდეგ მიღება ისე, როგორც ეს ეკადრება საერთოდ დოკუმენტს, რომელიც, ალბათ, ჩვენი ცხოვრების მთავარი დოკუმენტი გახდება მომავალში.

ჩვენი ყრილობის მიერ არჩეულმა დელეგაციამ, რომელიც მოსკოვში წავა, უნდა გამოთქვას ის პოზიციები, რომლებსაც ჩვენ მათ დავუსახავთ და ამის შემდეგ უნდა მოხდეს ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება პირველადიდან დაწყებული და ცენტრალური კომიტეტის დონეზე დამთავრებული.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, სავსებით ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოიკვეთოს საქართველოს კომპარტიის ის ადგილი რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემაში. ჩვენი აზრით, საჭიროა უფრო თამამად და მსჯეტბურად ვუდგებოდეთ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ამოცანებს. პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში ეს არ უნდა იყოს გადაუჭრელი პრობლემა. თუ საერთო ძალისხმევით მივაღწევთ ეროვნულ კონსენსუსს, აუცილებელია გამოიძებნოს გზები ასეთი ერთიანობის მისაღწევად. ამისათვის უარი უნდა ვთქვათ პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიაზე.

მონოპოლიურ უფლებებზე ნებაყოფლობით უარის თქმა სრულიადაც არ ნიშნავს ამ უფლებების სხვისთვის, რომელიმე სხვა პოლიტიკური ძალებისთვის გადაცემას. პირიქით, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ყველას შეექმნას პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის თანაბარი საშუალება. ამიტომ არის ასე საჭირო და, მე ვიტყოდი, საჩქარო პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების თაობაზე კანონის მიღება.

ამ კანონების მოქმედების პირობებში აუცილებელი გახდება პარტიის გარდასახვა, მისი როლის შეცვლა. იგი, ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოვიდეს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ტყვეობიდან და სუფთა პოლიტიკურ სტრუქტურად იქცეს. პარტიამ უნდა მოიპოვოს თავისი მთავარი, მასებთან პოლიტიკური მუშაობის ფუნქციური დანიშნულება და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენა მოახდინოს მრავალმხრივი და პრაქტიკული საქმიანობით, პარტორგანიზაციების წვრილებით.

ამისათვის საჭიროა პარტიის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ახლებური გაგება, ახალი იდეოლოგიური კონცეფციები.

ჩვენ ვალდებული ვართ გამოვიდეთ იდეოლოგიური ჩიხიდან. ყველაფრის ძაგების და ხაზის გადასმის მანკიერმა წყურვილმა ძნელადწასაწ�ლაქა დაატყო პარტიის ისტორიას. მასობრივი იდეოლოგიზაციისაკენ მისწრაფებამ უფრო ზედაპირული კვალი დატოვა და ფაქტობრივად ვერ მიაღწია საზოგადოებრივი ცხოვრიერების სიღრმეს.

ახლა ახალი საშიშროების წინაშე დავდექით. დაიწყო დეიდეოლოგიზაციის იდეის განვითარება, და თუ ამ პროცესს სწორი მიმართულება არ მივეცით, შეიძლება ისე შორს წავიდეთ, რომ სრულ იდეოლოგიურ ამორფულობაში აღმოვჩნდეთ. მრავალპარტიულობა, როგორც აღვნიშნეთ, ობიექტურ რეალობად იქცა, და პირდაპირ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მოუმზადებელი შევხვდით ამ პროცესს. ვერც პარტიულმა ორგანიზაციებმა მოახერხეს, რომ დროულად შეეწყოთ ხელი საზოგადოებრივი აზრისთვის, ვერც პარტიის რაიკომებმა და ვერც თბილისის საქალაქო კომიტეტმა მიიღო საჭირო ზომები. როგორც ჩანს, ძნელად ვეჩვევით მოულოდნელ სიტუაციაში სწრაფი და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას, ვერ ვიჩენთ ინიციატივას ზემოდან მოსული დირექტივების გარეშე. დღევანდელ ვითარებაში, ცხოვრების უზომო დინამიურობა ჩვენგან მოითხოვს უფრო მტკიცე მოქმედებას, მეტ კომპეტენტურობას, პოლიტიკურ ალღოს და გაბედულებას.

რასაკვირველია ეს არ ნიშნავს იმას, რომ უფრო დაბეჯითებით ვუმტკიცოთ ხალხს გარდაქმნის ახალი მოდელის პერსპექტივები, რადგანაც, როგორც უკანასკნელ ხანებში თვით პრეზიდენტმაც აღნიშნა ასეთი მოდელი, თურმე, ჯერ-ჯერობით უფრო ფანტაზიის ნაყოფია. ეს ასეა. მაშინ საჭიროა ხალხი, ვინც ყოველივე ამას განახორციელებს, ესე იგი კადრები. ჩვენ მიჩვეული ვართ, როდესაც მრავალი წლის განმავლობაში კადრები ირჩეოდნენ ხელსაყრელი შემსრულებლის პრინციპით, მაგრამ ეუშმარიტებაა ისიც, რომ კარგი შემსრულებლები იშვიათად არიან შემოქმედნი. ჩვენ კი დღეს სწორედ იდეების გენერატორი შემოქმედები გვჭირდებიან. შემოქმედება კი არ შეიძლება მაღალი ინტელექტისა და კულტურის გარეშე არსებობდეს. არ შეიძლება არსებობდეს იგი ახალგაზრდობის გარეშეც. ჩემის ღრმა რწმენით, დღეს საჭიროა კადრების კარდინალური გაახალგაზრდავება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პარტიისა და ახალგაზრდობას შორის სერიოზული ბზარი გაჩნდა. ფაქტია, რომ რაც უფრო მეტად მოიპოვა პოლიტიზაციამ ახალგაზრდული ფენა, მით უფრო გაიზარდა ეს ბზარი. ჩვენ კი ბოლო დრომდე ახალგაზრდობაზე, მომავალ თაობაზე ძველებური ილუზიებით ვსაზრდოობდით. ვერ დავინახეთ, რომ ახალგაზრდობას ემოციურობასთან, ტულერანტულობასთან ერთად საოცარი ინტელექტუალური და პოლიტიკური პოტენციალი აქვს. ის, რომ დღეს ახალგაზრდობის ერთ ნაწილს დაკარგული აქვს ნდობა პარტიისადმი, — ზემოთქმულის კანონზომიერი შედეგია. ამიტომ ისე, როგორც არასდროს, გვეჭირდება გააზრებული, გონიერი ახალგაზრდული პოლიტიკა, თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობა მასთან, რადგანაც მხოლოდ იმ პარტიას აქვს მომავალი, რომელიც ახალგაზრდულია და რომელსაც ახალგაზრდობა გაჰყვება.

დაბოლოს, ვფიქრობ, ყველაზე მთავარი დღეს სწორი, მოფიქრებული გადაწყვეტილების მიღებაა. მაქსიმალური სიფრთხილითა და მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენ ერთმანეთის პოზიციას. საზოგადოებრივი აქტივობის ტალღა ზოგს მარცხნივ გაიტაცებს, ზოგს მარჯვნივ, მაგრამ ყველაზე ცხარე დისკუსიის დროსაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ინტერესები და ჩვენი ერთიანობაა მთავარი. მწამს, რომ ყველას კარგად გვაქვს გააზრებული დღევანდელი მომენტის პასუხისმგებლობა, რომ არ დავუშვებთ ჩვენს რიგებში გათიშვას და ამ დარბაზიდან გავალთ იმ კარებიდან, საიდანაც ყველანი აქ შემოვედით.

ამხ. ს. ლ. ლომიძის სიტყვა

(თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების საამქროს ოსტატი)

ეპოქა, რომელშიც გვიწევს ცხოვრება, ურთულესია. გარდაქმნის რევოლუციურმა პროცესმა, ერთი მხრივ, ძირფესვიანად შეარყია ჩვენი თვალსაზრისები არსებული სახელმწიფოებრივი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ფენომენებზე, მეორე მხრივ, შექმნა პერსპექტივები ახალი საზოგადოებრივი ორიენტირების ძიებისა. თუმცა ამ ძიებას თან სდევდა და სდევს დიდი იმედებიც და უკიდურესი სასოწარკვეთილებანიც, დემოკრატიის მძაფრი შეგრძნებაც და დიქტატორული რეციდივებით გამოწვეული უდიდესი ტრაგიზმიც.

რევოლუციური გარდაქმნის პერსპექტივა საზოგადოებას კომუნისტურმა პარტიამ შესთავაზა, მაგრამ სწორედ პარტია გახდა იერიშის მთავარი ობიექტი.

უნდა ვაღიაროთ, რომ მარცხით დამთავრდა ტოტალიტარულ სახელმწიფოში მოხოპოლისტური ხელისუფლების მქონე კომუნისტური პარტიის თეორიულ-პროგრამული პოსტულატები და მასთან ერთად მთელი მისი პრაქტიკული მოღვაწეობაც. კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი გაუუწვავლივ ქვეითდება. პარტიის ავტორიტეტის დისკრედიტაციაზე, ჩვენი აზრით, მძლავრად მოქმედებს ორი დიდი ფაქტორი.

პირველი და უმთავრესი — ეს იყო პარტიის მიერ ეროვნული საკითხის უგულებელყოფა. საბჭოური ინტერნაციონალიზმის პოსტულატი საბოლოო ჯამში ერების შერწყმას ითვალისწინებდა. ცხოვრებამ ცხადყო, თუ რამდენად უზნეობაა შეეცადო გათქვიფო უსახურ მასაში ეროვნული სულის თვითმყოფადობა, ენა და კულტურა, წაართვა ხალხებს წარსულის სრულფასოვანი გააზრების შესაძლებლობანი და ხელში შეაჩეჩო ყალბი კრიტერიუმები, რათა მათი ინტერესების დეზორიენტირება გამოიწვიო.

ასე იგებოდა პარტიის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში. პრაქტიკაში კი იგი გამოვლინდა დამოუკიდებელი რესპუბლიკების საკავშირო სახელმწიფოში ძალადობრივი გაერთიანებით, ზოგისა კი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს მისამართით 1921 წელს, პირდაპირი ანექსიით.

გარდაქმნის პროცესში გამოცხლებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მძლავრი იერიში მიიტანა საკავშირო სახელმწიფოს არა მარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ ბალავარზეც და ცენტრი ქვეყნის დაშლის რეალობის წინაშე დააყენა. გარდაქმნის კონსერვატიული ძალები, რომლებიც არ თმობენ პოზიციებს, შეეცადნენ ძალის დახმარებით აღდგომოდნენ ხალხთა მოძრაობის ამ უაღრესად ბუნებრივ პროცესებს. ამ ძალებმა გამოიწვიეს 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიან მომიტინგეთა ტრაგიკული მსხვერპლი. კომუნისტური პარტია, რომელიც კვლავ ვერ თმობს ძველ პოსტულატებს და ცდილობს შეინარჩუნოს საერთოსაკავშირო სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, ასეთ პირობებში ძირს უთხრის თავის ავტორიტეტს.

მეორე მიზეზი პარტიის ავტორიტეტის შერყევისა და მისგან მასების ფართო ფენების განდგომისა ის არის, რომ პარტიას სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის მმართველი — ბიუროკრატიული აპარატი დიდი ხანია მოსწყდა ხალხის მასებს და შორსაა ხალხის ცხოვრებისეული პრობლემებისაგან. უკმაყოფილებას იწვევს არა იმდენად ცხოვრების რეალური პირობების დაბალი დონე, არამედ ის, რომ საზოგადოების მატერიალური დოვლათის განაწილება არ არის სამართლიანი. მატერიალური კეთილდღეობით სარგებლობა ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი არ არის. ამის ნიადაგზე იწოვება სოციალური სამართლიანობის სხვა ასპექტებიც. ფართო სოციალური ფენები ვერ გრძნობენ პარტიისაგან მხარდაჭერას, უფრო მეტიც, ზოგჯერ თვით პარტიული მუშაკის ინიციატივით ხდება დარღვევები და დანაშაულებები. კოოპერაცია, შეკრთამეობა, მაფიოზობის სინდრომი თვით პარტიის ორგანიზმს ღრღნის და მის ავტორიტეტს ლაზავს.

ამჟამად მიმდინარე რთულ ისტორიულ პროცესებში პარტიის ბედი დიდი გამოცდის წინაშე დგას. ალტერნატივა მეტად მკაცრია. ან უნდა განვითარდეს რღვევის ჯაჭვური პროცესი, ან უნდა გარდაიქმნას, გაჯანსაღდეს, რეალურ ავტორიტეტულ ძალად იქცეს მოვლენათა ახალ მიმოქცევაში.

შემოთავაზებული პროექტები დიდმნიშვნელოვანი მომენტია პარტიის ცხოვრებაში. მათში ახლებურადაა გააზრებული პარტიის ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებანი. პარტიის ძირითადი საკოროგამო დებულებების მიმართ მაქვს რამდენიმე შენიშვნა.

კონკრეტულად უნდა იყოს ფიქსირებული, რა თეორიულ მიმკვიდრეობაზე ვაცხადებთ პრეტენზიებს და რას უარვყოფთ. ამას აქვს პრინციპული მნიშვნელობა. კერძოდ, როგორ ვუყურებთ 1921 წლის თებერვალ-მარტის ამბებს საქართველო-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობაში.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ, ხოლო 1922 წელს საქართველოს შეყვანა საკავშირო სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო ძალმომრეობის აქტი, რომელიც პარტიის ეროვნული პოლიტიკის რეალიზაციის პრაქტიკული შედეგი გახდა. საქართველოს კომპარტიამ უნდა უარყოს ეს მემკვიდრეობა და საბოლოოდ დაადგეს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აღდგენის გზას.

ამჟამად, როდესაც გარდაქმნის უპირველეს რეალობად იქცა ეროვნული მოძრაობა, ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებისათვის, და ის ხალხის ზნეობრივი იმპერატივი გახდა, საჭიროა ეროს ყველა სასიცოცხლო ძალების კონსოლიდაცია და მასთან ერთად საქართველოს კომუნისტების ორგანიზაციული სტატუსის განსაზღვრა. უნდა გადაწყდეს, იარონ ისევ ძველებურად ერთ განუყოფელ ორგანიზაციად საერთო-საკავშირო პრაგმატისტულ იდეალთა გზაზე, თუ შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანიზაციული სტატუსი, დაეფუძნოს ეროვნულ საყრდენს და იღვაწოს ქართველი ხალხის კანონიერი მოთხოვნილების — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალიზაციისათვის. შემოთავაზებულ პროექტებში არ იგრძნობა, რომ პარტიის გამოყოფა და მისი მიზანი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა — პარტიის იმანენტური ძალისხმევის შედეგია. იგი უფრო იმიტომაა გაკეთებული, რომ ხალხის თვალში პარტიამ რეაბილიტაცია უყოს თავის თავს. საეჭვოა, რომ ამ პოზიციით ხალხი შემობრუნდეს პარტიისაკენ.

ჩვენი აზრით, ვაღიარებთ რა ვითარების დრამატულ სირთულეებს რესპუბლიკაში, პარტიის ავტორიტეტის დაცემას და სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებზე მისი ზემოქმედების აქტიურობის შემცირებას, ამავე დროს კომუნისტებისადმი საზოგადოებრივ დაპირისპირებასაც კი, საქართველოს კომუნისტური პარტია უნდა გამოვიდეს დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაციის სტატუსის შექმნით და ჩაებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში, ამით მოხდება საქართველოს სოციოკულტურული ძალთა სრული კონსოლიდაცია, საქართველოს კომუნისტთა ინტელექტუალური კაპიტალი დიდი შენაძენი იქნება საერთო-სახალხო მოძრაობისათვის,

შესაძლოა ჩვენს ამ შეხედულებებს ოპონენტებმა დაუპირისპირონ ჩვენთვის არასასურველი რეალობები, რომლებიც ასე ხშირია საბჭოურ პოლიტიკაში, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებიც ზომ რეალობაა! საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დემონტაჟის ძალებიც ხომ რეალობაა!

საქართველოს კომუნისტური პარტია მრავალპარტიულობის პირობებში უნდა დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ მდგომარეობას, დამთმოს სახელმწიფო ხელისუფლების მონოპოლიური ფლობა და იქცეს სხვა პარტიებთან ერთად ერთ-ერთ პარლამენტურ პარტიად და მის პროგრამებიდან დარჩეს ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა და საპარლამენტო ბრძოლა ხელისუფლებისათვის.

აუცილებელია პარტიის რიგების წმენდა, მისი ზნეობრივი კათარზისი. მის რიგებში ამჟამად ბევრი კორუფცირებული ბიუროკრატებულ. ეს, რა თქმა უნდა, ეროვნულია ჩვენს საზოგადოებაში პარტიის როლით, როდესაც იგი რეალურ ძალას ფლობს სახელმწიფო ხელისუფლებაში, ეკონომიკაში. იგი ცალკეულ პირებს უბიძგებს პარტიიადში უტიტიტარული დამოკიდებულებისაკენ. საზოგადოებაში პარტიის როლის ახლებური განსაზღვრა, ამას იანავე საჭიროობა, პლურალიზმი, მრავალპარტიულობა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრინციპები ხელს შეუწყობს საზოგადოების და მასთან ერთად პარტიის ზნეობრივი სახის გაჯანსაღებას.

დღეს, საქართველოს კომუნისტთა ამ ისტორიულ დიდ ფორუმზე თავისებური ოლიტიკური რუბიკონის წინაშე ვდგავართ, რომელიც შეიძლება გადავლახოთ, და არ წავაგოთ, ან არ გადავლახოთ, და ვერ მოვიგოთ.

ამხ. რ. ვ. მეტრეველის სიტყვა

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი)



ჯიდრე კონკრეტულად შევეხებოდე სამსჯელო საკითხს, მინდა დელეგატთა ყურადღება მხოლოდ ერთი წუთით შევაჩერო ამავე პრობლემიდან გამომდინარე მეცნიერების, კერძოდ საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარების ზოგიერთ მომენტზე.

დღეს აღარავის ეჩოთირება გლობალური მასშტაბით საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ჩამორჩენილობაზე ლაპარაკი. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ბუნებრივი მოვლენა გახლავთ იმ საერთო მძიმე, კრიზისულ ვითარებაში, რომელმაც ჩვენი ქვეყანა კარგა ხანია მოიცვა. სოციალურ ურთიერთობათა მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემის შექმნამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში შექმნა ნაკლოვანებათა წარმოქმნის ობიექტური სუფთაქლები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფერომ დაკარგა თავისი ავტონომია, დაკარგა თავისი ავტონომიური ხასიათი; ისეთი ტრადიციული არსებითი თვისებები, როგორიცაა ჭეშმარიტების ობიექტურობა, კვლევის თავისუფლება. სამეცნიერო შემოქმედების დამოუკიდებლობა სულ უფრო და უფრო ეწირებოდა მსხვერპლად საკმაოდ ვულგარულად გაგებულ სოციალურ დაკვეთებს — არსებითად ეს იყო დირექტიული შეკვეთა. დაიკარგა ოპტიმალური შეფარდება, უფრო მეტიც, ჩაიშალა საზღვრები იდეოლოგიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებას შორის. და ეს ხდებოდა არა მხოლოდ 30-50-იან წლებში, როგორც ამას ჩვენი პრესა აღნიშნავს, არამედ ხდებოდა სულ აგერ ახლახანაც. ფაქტია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებები, სამეცნიერო დაწესებულებები ღა კადრები პარტიული, სამთავრობო ორგანიზაციების შემსრულებელ დანამატებად იქცნენ. მეცნიერების ბიუროკრატიზაცია დაეტყო ორგანიზაციულ სტრუქტურასაც და კადრების შემადგენლობასაც, რამაც საზოგადოებათმცოდნეობის სოციალური პრესტიჟი დასცა.

დღეს ნათელი გახდა, რომ საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობისა და მისი სოციალურ პრაქტიკასთან დაკავშირების ფორმები აღარ შეესაბამება საზოგადოების წინაშე დასახულ გარდაქმნის ამოცანებს, რომლებიც გადამწყვეტ და დაუყოვნებლივ ცვლილებას მოითხოვენ. უპირველეს ყოვლისა, უარი ითქვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წმინდა პროპაგანდისტული ფუნქციის აბსოლუტიზაციაზე, რაც არსებითად ხდება მისი კრიტიკულ-შემეცნებითი ფუნქციის ხარჯზე.

მეცნიერების განვითარებას ამუხრუჭებდა ოფიციალური ჩარჩოები და საზღვრები; ამ საქმეს წარმატებით ასრულებდა საგამომცემლო პროცედურა თავის გეგმებით, რედაქტორებით, რეცენზენტებითა და ცენზურით. ყოველივე ამან უკუშედეგი გამოიღო და სხვა უამრავ ფაქტორთან ერთად ხელი შეუწყო პარტიის დეგრადაციას.

აქსიომური ჭეშმარიტებაა, რომ პარტიაში დღესდღეობით უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა. იგი თითქმის ფორმალურად არსებობს. ამასთან ქვეყანაში შექმნილი მწვავე კრიზისული ვითარების გამო პარტია დღითიდღე კარგავს ავტორიტეტს. ამას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, პარტიული ხელმძღვანელობის დაბნეულობა (შეგნებული თუ შეუგნებელი) და პოზიციის უქონლობა, მეორეს მხრივ, პარტიული ფუნქციონერების დიდი ნაწილის სისუსტე და უნიათობა. ყოველივე ამის გამო ისტორიის მთელ მანძილზე პარტიის მიერ დაშვებულ უხვ შეცდომებს თითქმის ყოველდღიურად ახალ-ახალი შეცდომები ემატება. ქვეყანაში დაძაბულობა დაუსჯელობამ და განუკითხაობამ საზოგადოება მძიმე ნიპილოზამდე მიიყვანა.

კრიზისული მოვლენების დაძლევა ძალზე მძიმეა. აქ დიდ როლს ასრულებს ეკონომიკა, რომელიც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, ე. წ. „პერესტროიკის“ პერიოდში, შეუჩერებლივ მიექანება უფსკრულისაკენ და ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ უკუსვლის შეჩერება და რაღაც დონეზე სტაბილიზირება. ყველა დონეზე ტაუილი, უკეთეს შემთხვევაში, ნახევარსიმართლე, რის მოწმენიც ყოველდღიურად ვართ, ბუნებრივია მდგომარეობის გამოსწორებას ვერ წაადგება.

თუ რეალურად გვინდა კრიზისიდან გამოსვლა, ბევრი ძველი რამ, ორგანიზატორული თუ პოლიტიკური მუშაობის ფორმა თუ მეთოდი — უნდა გადავსინჯოთ, ჩამოვიცილოთ, საქმიანობას საფუძვლად პატიოსნება, და სიკეთე დავუდოთ. მიმაჩნია, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებები არსებითად გამოხატავს, მხედველობაში მაქვს დღეს შემოთავაზებული დოკუმენტები, დღესდღეობით რესპუბლიკის წინაშე მდგარ ამოცანებს, იმ პრობლემებს, რომლებიც ქვეყანას ეროვნული თუ სხვა თვალსაზრისით აქვს. მიმაჩნია, რომ საკითხი სწორად იქნა დასმული და სათანადო გადამუშავების შემდეგ მათი მიღება უთუოდ შესაძლებელი გახდება.

მაგრამ ეს არ კმარა. პარტიამ უნდა თქვას სიმართლე ყველა იმ პრობლემაზე, რაც ხალხს აწუხებს, რისი უთქმელობაც ეჭვის ქვეშ აყენებს პარტიის ავტორიტეტს. ასეთი საკითხები ძალზე ბევრია. მე მცირეს მოგახსენებთ. უნდა ითქვას ბასულ წლებში სახალხო მეურნეობის დეფორმაციაზე, რის შესახებაც აქა-იქ გაისმის, უკანასკნელ ხანს კი რესპუბლიკის პროკურორმაც ახსენა „სახალხო განათლებაში“ დაბეჭდილ სტატიაში. ბევრი შეკითხვაა იმაზე, ნუ დავფარავთ ამასაც, თუ რატომ დაიხვრიტა მღვდელი ჩიხლაძე, ან იმ თვითმფრინავში მყოფი სხვა ახალგაზრდები, როგორ დაიღუპა წერეთელი, რატომ მიესალა სასჯელის უმაღლესი ზომა იუზა კობახიძეს და სხვა. ქვეყნის სხვა ახალოგებთან კავშირში ცხრა აპრილის „საიდუმლოებაც“ ბოლომდე უნდა გაიხსნას. უნდა გადაიხედოს ეროვნ ფაქტიც. ცნობილ დადგენილებაში თბილისის პარტიული ორგანიზაციის შესახებ მუშაობის არსებით ნაკლად იდეოლოგიური მუშაობის სისუსტე იყო მიჩნეული. გაკრიტიკებული იყვნენ ავტორები და მათი ვითომდა ანტიისტორიზმით გამსჭვალული ნაშრომები, რომლებიც ქართველი მენშევიკების საქმიანობას დადებითად აფასებდნენ. მე ბევრს არ გავაგრძელებ ამაზე, მაგრამ რეალურად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაშრომები და მათი ავტორები დღეს ფაქტობრივად რეაბილიტირებულნი არიან, თუნდაც იმიტომ, რომ პლატფორმა, რომელ[illegible] ჩვენმა დეპუტატებმა მოაწერეს ხელი, და საქართველოს უზენაესი საბჭოს 9 მარტის გადაწყვეტილება სრულიად აბათილებენ ყოველგვარ საწინააღმდეგო შეფასებებს. პარტია, თუ იგი ჭეშმარიტად ხალხის პარტიაა, ყველა მოვლენას უნდა აძლევდეს შეფასებას და ყველა კითხვაზე უნდა იძლეოდეს პასუხს.

ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი ფაქტის შესახებაც ვთქვა. მე არ ვიცი და, ალბათ, არც არავინ იცის, მეცა თუ არა შეფასება 1990 წლის პირველ მაისს დემონსტრაციაზე მომხდარ ფაქტს. ფაქტი ის გახლავთ, რომ პოლიტბიუროომ დატოვა ტრიბუნა. გაიქცა. მე არ ვიცი, რა შეფასება მისცეს თვითონ პოლიტბიუროს ამას, როდესაც თვითონ ისინი მოგვიწოდებენ, რომ ასეთ შემთხვევაში მოვაწყოთ დიალოგი საზოგადოებასთან და ხალხთან. ვფიქრობთ, ეს იყო ყველაზე კარგი საშუალება მათთვის. ისე კი წითელ მოედანსა და იმ ტრიბუნას უფრო მძიმე დღეები ახსოვს. ახსოვს 1941 წლის 7 ნოემბერი, როდესაც ჭურვები მოსკოვში სკდებოდა და პოლიტბიუროს არ დაუტოვებია ტრიბუნა.

თანამედროვე მრავალპარტიულობის პირობებში, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ უნდა დაიკავოს ერთ-ერთი იდეოლოგიური ორგანიზაციის ადგილი. პარტიის განახლებაში უნდა ჩაიდოს არსებითი, რევოლუციური გარდაქმნის აზრი, ჰუმანიზმი და ჰუმანისტური მსოფლიოგებები უნდა იყოს მისი საფუძველი. მასში უნდა ჩადოს რეალური დემოკრატიზაციის იდეები. გაირკვეს რისკენ ვისწრაფით, კონკრეტულად უნდა განისაზღვროს რეალური მიზანი და ამოცანა. ძირითადი მიზანი კი უნდა იყოს ეროვნული პრობლემების გადაჭრა. მხოლოდ სწორი, მიზანსწრაფული ეროვნული ორიენტაციითა და რეალური საქმეებით შეიძლება პარტიის დაკარგული ავტორიტეტის აღდგენაზე ფიქრი. ჩვენ თვალნათლივ ვნახეთ, თუ სად მიგვიყვანა გაზვიადებული, არარეალური მიზნებისა და ამოცანების დასახვამ. გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა პარტიების გამოცდილებაც. ასეთ შემთხვევაში ახალი ვითარება თავისთავად წარმო

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა

დელეგატთა გამოსვლები

(დასასრული)

კომპარტიის მოღვაწეობის შემდეგი ეტაპი — 9 აპრილის ტრაგედიიდან დღემდე განვლილი პერიოდი. თითოეულ დღეს საკუთარი პოლიტიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. თითოეულ დღეს რთული ამოცანის გადაჭრა ეკისრებოდა. ამ პერიოდში ეთნოკრიზისები დაიწყო, დროსა და სივრცეში მწარე სინამდვილის მოწმენი გავხდით. აფხაზეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი სამოქალაქო ომის გაჩაღების პოლიგონად შემზადდა. საქართველო რამდენჯერმე გადაურჩა ტრაგედიას. კონკრეტულად—გასული წლის ნოემბერში, მომდინარე წლის იანვარ-თებერვალში. მე მახსოვს დღეები, როცა ყოველ საათს შეეძლო უბედურება მოეტანა ერისათვის. როგორ გადავრჩით? — მომავალს მივანდოთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მაგრამ მაინც გამოვყოფდი ერთ მთავარ პირობას — ჯანსაღი ეროვნული ძალების კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარებას. სხვადასხვა პარტიებთან, გაერთიანებებთან ურთიერთობაში გამოიძებნა დიალოგის, აზრების, პოზიციების შეჯერებათა მოქნილი ფორმები. ეს გზა სწორად მიმაჩნდა და სწორად მიმაჩნია დღესაც. მოხდა დიდი მოვლენაც: საქართველოს კონსტიტუციამ მრავალპარტიულობის სისტემა აღიარა. მრავალპარტიულობის ჩარჩოებში მუშაობის საკმაოდ კარგი გამოცდილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რეალურად უკვე შეიძინა. და, ჩემი აზრით, მას კარგადაც იყენებს.

მიღებულ იქნა პოლიტიკურ-თეორიული დოკუმენტი — საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფცია, ჩამოყალიბდა რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრინციპების საფუძვლები. უზენაესმა საბჭომ ბევრ პრინციპულ პოლიტიკურ საკითხზე მიიღო გადაწყვეტილება. მიუხედავად ერთგვარი პოზიციური ცვლილებებისა, დღეს რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრება კვლავ უაღრესად რთული და ძაძაბულია. იგი, იქნებ, გაწონასწორებულადაც მოგვიჩვენოს, მაგრამ ყოველი წუთი, თუ პროცესები სწორად არ ვმართეთ, შეიძლება აფეთქებასაშიც გახდეს, რადგანაც ეს დროებითი წონასწორობა ძმაფინი წინააღმდეგობებით გაჯერებულ ფაქტორს ეყრდნობა.

როგორია განვლილი პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი ნიშნები, ტენდენციები?

ეკონომიკა ღრმა კრიზისმა მოიცვა. მცირდება დაგროვება, ფონდუკუნგება, იზრდება მასალატევადობა. დაუშთავრებელ მშენებლობაზე მოდის 3,5 მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ წლიური კაპიტალური დაბანდებების 152 პროცენტი.

წარმოების ტექნიკური დონე უაღრესად დაბალია: სახლობო მეურნეობაში არსებული მოწყობილობებისა და დანადგარების საერთო რაოდენობის 30 პროცენტამდე 10 წელზე მეტი ხნისაა. განაწილების დღევანდელი ტემპის პირობებში მათ შეცვლას 40-45 წელი დასჭირდება. რესპუბლიკის ეკონომიკა მოკლებულია ავტონომიური ფუნქციონირების ელემენტარულ უნარს. სამეურნეო ბრუნვის ნახევარზე მეტი გარეკავშირურთიერთობებზე მოდის.

საწარმოებისა და ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკურად გაკოტრების საფრთხის წინაშეა. შეიქმნა სამეურნეო კავშირურთიერთობის რღვევისა და რესურსებით უზრუნველყოფის დონის მკვეთრი დაცემის რეალური საფრთხე.

ასეთ ვითარებაში ქვეყანაში ისაბეგა საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა. ეს გარდაუვალია ჩვენთვისაც. სამწუხაროდ, არც ფსიქოლოგიურად, არც ორგანიზაციულად, არც მატერიალური პირობებით საქართველო არ არის მზად ბაზრის უმკაცრესი კანონების პირობებში უზრუნველყოს დღეს დაავადებული ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირველი პერიოდი, — ეს შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, — უსათუოდ გამოიწვევს წარმოების მკვეთრ დაცემას, ფასების ზრდას და, რაც ყველაზე საშიშად მიმაჩნია, უმუშევრობას.

უკანასკნელ წლებში თითქოს დაისახა სოციალური პრობლემებისაკენ შემობრუნება. მაგრამ ხელშესახები შედეგები არა გვაქვს. საბინაო პრობლემა ისევ მწვავედ დგას.

განათლების დღევანდელი სისტემა ვერ აკმაყოფილებს ხვალინდელი საქართველოს მოთხოვნებს. ნუ დაგვიბნევს დიპლომიანი სპეციალისტების რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი; მაღალპროფესიული კადრების უაღრესი დეფიციტი გვაქვს, უცოდინარობა ლუპავს საქმეს.

ერთი მხრივ, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას ათი ათას სულ მოსახლეზე ექიმთა რაოდენობით, მეორე მხრივ, ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით მსოფლიოში ყველაზე დაბალგანვითარებული ქვეყნების დონეზე ვართ.

ერთ სულ მოსახლეზე უმნიშვნელოვანეს სახეობათა არასასურსათო და სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონით კავშირშიც კი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე ვიმყოფებით.

ასეთ ვითარებაში საზოგადოების, მოსახლეობის ცალკეული ფენების სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ შეიძლება არ იყოს შინაგანად დაძაბული, ნეოფული, წინააღმდეგობრივი და არსებული პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურების მიმართ დაპირისპირებული.

* * *

როგორია განვლილი პერიოდის ზნეობრივი ასპექტები?

გარდაქმნამ სიღრმისეული ცვლილებების აუცილებლობა გამოიწვია აგრეთვე ზნეობაში.

ზნეობრიობა ყველა პოლიტიკურ პარტიაში განსაკუთრებული კატეგორიაა. ჩვენს პარტიაში ზნეობრივი პრინციპების აღიარებასა და მათი განხორციელების პრაქტიკის შეუთავსებლობა იმის უმთავრესი მიზეზი გახდა, რომ ჩვენთან კორუფცია, შექრთამეობა, თვალთმაქცობა, ავანტიურიზმი დღეს უცხო მოვლენა აღარ არის.

ამან დიდად შელახა პარტიის ავტორიტეტი. არც ხელაღებით, ანგარებითი პოზიციებიდან გაჩაღებულმა ბრძოლამ, არც ქვეყნისა და პარტიის მიერ განვლილ გზაზე ცალკეული პოლიტიკური ძალების თავდასხმებმა, საერთოდ გუშინდელი დღის განქიქებამ, არც ყველა უბედურებისათვის პასუხისმგებლობის მხოლოდ სტალინზე დაკისრებამ შემატა სახელი პარტიას.

ხალხის ნდობის ბოროტად გამოყენება ყველაზე დიდი უზნეობაა. სამწუხაროდ, მისი სხვადასხვა ფორმით გამოვლინება იშვიათობას აღარ წარმოადგენს დღეს. საზოგადოებისათვის ერის განვითარების ურთულეს პრობლემებზე საკუთარი მცდარი აზრების დილეტანტის პოზიციიდან თავსმოხვევა, ან სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური თეორიებიდან და მოძღვრებებიდან ნასესხები იდეების მშობლიური ხალხის მომავლის საფუძვლად გადმონერგვის მცდელობა უზნეობა, მით უმეტეს უპასუხისმგებლობა არ არის? და განსაკუთრებით დღეს, როდესაც ბედის განმაზღვრელი გადაწყვეტილებებია მისაღები საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე.

უზნეობის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მიმართულებას — ავანტიურიზმს, სამწუხაროდ, ნოყიერი ნიადაგი შეექმნა გარდაქმნის მიმდინარე პროცესში. ავანტიურიზმი პოლიტიკურ ტრაგედიებს ამზადებს, კვებავს. მას ერთი საოცარი თვისებაც აღმოაჩნდა — შეიჩიბვის განსაკუთრებული უნარი.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, ნაცნობი, პარტიის წევრობას ამოფარებული, მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც ებრძვის საკუთარ პარტიას, გესლს ანთხევს, ლანძღავს მას და, იცით, ამას რისთვის აკეთებს? — ერის კაცის სახელის დამკვიდრება სწყურია, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, როგორც ყველა ნაცარქექიას, სარდლობა უნდა.

ახლა ყველასათვის ცხადია რომ სწორედ ასეთი ორპირობის, უპატიოსნო თამაშის გამო ხალხს ბევრის აღარ სჯერა, დაკარგა რწმენა, ეეჭვება — შესწევთ თუ არა კომუნისტებს უნარი თავად აღკვეთონ სოციალური უსამართლობა, დაიცვან ეროვნული ინტერესები, კრიზისიდან გამოიყვანონ საქართველო.

მიმდინარე პერიოდის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივი ასპექტების ზემოთ წარმოდგენილი ზოგადი დახასიათება-შეფასება საფუძველს მაძლევს ვთქვა: საქართველოს, მის მომავალს სჭირდება ძლიერი პოლიტიკური ძალა და ასეთ ძალად საქართველოს განახლებული კომუნისტური პარტია მიმაჩნია.

* * *

უკვე მივადექი თავსატეხ კითხვას, რომელსაც ყრილობამ პასუხი უნდა გასცეს: როგორი უნდა იყოს საქართველოს კომპარტიის ადგილი, როლი, ფუნქცია დღევანდელ პოლიტიკურ სტრუქტურაში, საქართველოს ცხოვრებაში?

საქართველოს კომუნისტური პარტია უნდა იყოს დამოუკიდებელი. მან თვითონ უნდა შეიმუშაოს და მიიღოს თავისი პროგრამა, თვითონ განსაზღვროს მისი რეალიზაციის გზები, ფორმები და მეთოდები, რაც მთავარია — პრინციპები.

მაშასადამე, — დამოუკიდებლობა. აქ თითქმის ყველას ერთი აზრი გვაქვს. მაგრამ, როგორი? გამოვიდეს ახლა საქართველოს კომპარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენლობიდან? თუ დარჩეს მის შემადგენლობაში, მაგრამ მთელი თავისი პოლიტიკურ-ორგანიზატორული მოღვაწეობა საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის აღიარებას, მის უზრუნველყოფა-განხორციელებას დაუკავშიროს?

დღეს ჩვენთვის საკითხთა საკითხი შემდეგია: რომელი დამოუკიდებლობაა ახლა ჩვენთვის უპირველესი — პარტიული თუ სახელმწიფოებრივი? რომელია მიზანი, რომელი — მიზნის მიღწევის საშუალება, ძალა, ფაქტორი?

ცხადია, მათ შორის არის ლოგიკური კავშირი, პოლიტიკური ლოგიკა, უწინარეს ყოვლისა. სწორედ ამ პოლიტიკური ლოგიკის ზუსტად და შეუცდომლად გარკვევა-განსაზღვრაა საჭირო, ღრმა დაფიქრებით და ფრთხილად. აქ გვჭირდება ყველაზე მეტად გამჭრიახობა, შორსხედვის უნარი. ახლაა საჭირო მაქსიმალური აქტიურობა, მაგრამ — გონივრული, სწორ პოლიტიკურ ალღოზე, გათვლა-გაანგარიშებაზე დაფუძნებული აქტიურობა.

დღევანდელობის ანალიზი მარწმუნებს, რომ ამჟამად საკითხის დაყენებაც კი დღეს, დღევანდელი სიტუაციის პირობებში საქართველოს კომპარტიის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენლობიდან გამოყოფის შესახებ უხეში პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა.

მოვალენი ვართ ფხიზლად და, რაც მთავარია, პროფესიულად მივადევნოთ თვალი ქვეყანაში მიმდინარე ზიგზაგისებურ პროცესებს. რუსეთის კომპარტიის შექმნა თვისებრივ ცვლილებებს შეიტანს თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, გამოიწვევს კომპარტიებს შორის ახალი კავშირურთიერთობის ფორმირება-ჩამოყალიბებას. რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების კავშირი რეალობად მიმაჩნია, ვიდრე დღეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე მათი შემდგომი ურთიერთობა.

დღეს ყრილობაზე გამოთქმული მოსაზრებების, იგრეთვე ყრილობის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ საყოველთაო განხილვისას ჩამოყალიბებული პოზიციების შეჯერება-გათვალისწინებით ჩვენ შეგვექმნება რეალური საფუძველი სწორად განვსაზღვროთ საქართველოს კომპარტიის სტატუსი, მისი ადგილი და როლი რესპუბლიკის პოლიტიკურ სტრუქტურაში, პროგრამისა და ორგანიზაციული წყობის საფუძვლები.

დღეს საგანგებო მნიშვნელობას იძენს საქართველოს კომუნისტურ პარტიაში ერთიანობის საკითხი. მოკლედ შევეხები ამ პრობლემას.

კომპარტიის ერთიანობა აუცილებელია, იგი საქართველოს სჭირდება.

რატომ?

პირველი. გათშავა წარმოუდგენელი სისწრაფით მოამზადებს საქართველოს მრავალეროვან კომპარტიაში პარტიული ორგანიზაციების ეროვნულ საწყისებზე ფუნქციონირების რეალურ საშიშროებას. ეს კი რესპუბლიკაში, პირდაპირ ვიტყვი, სამოქალაქო ომის დღეს არსებული პოტენციური ფაქტორების ამოქმედებას ძლიერ ბიძგს მისცემს. მაგრამ არსებითად სწორედ ეს ეწინააღმდეგება ქართველი კაცის ბუნება-ფენომენს, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ სხვა ხალხებთან ძმური ურთიერთობის, ჩრდილშემწყნარებლობის საფუძველს. ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ საქართველოს რეგიონების განთვითოებულებას, ჩვენ ეროვნული ერთობა გვჭირდება დღეს.

მეორე. გათშავა-განხეთქილება მოამზადებს ფსიქოლოგიურ, ორგანიზაციულ, განსაკუთრებით პოლიტიკურ საფუძველს — ერთის მხრივ, კომუნისტებსა და სხვა პარტიებს, მეორე მხრივ, თვით კომუნისტებს შორის დაპირისპირების, პოლიტიკური პასუხისმგებლობის ურთიერთგადაბრალების, შეღლის გაღვივებისათვის, გამოიწვევს პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის შეჩერებას. ერთი სიტყვით, მრავალმხრივ კონფრონტაციას.

მესამე. დღეს, როდესაც ეროვნული მოძრაობა ღრმავდება (იგი გაძლიერდება მომავალში). როდესაც განსხვავებული მსოფლმხედველობისა და პოზიციების ადამიანების ჯანსაღ ეროვნულ ნიადაგზე კონსოლიდაციის პროცესი მიმდინარეობს, საქართველოს კომპარტიის გათიშვა ხელს შეუწყობს ამ პროცესის დინამიზმს? რა შეიძლება მოჰყვეს მას პრაქტიკულად თუ იგი დავუშვით?

განვიხილოთ ეს საკითხი, შეიძლება ერთგვარად მოულოდნელი რაკურსით: თუნდაც, სახელმწიფოს ძირითადი რგოლის, მისი სუფთვლის — ოჯახის დონეზე, ქართული ოჯახის, ნათესაობის მაგალითზე.

წარმოიდგინეთ ოჯახი, ან ახლო ნათესაობით დაკავშირებული ოჯახები, სადაც არა მარტო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები იქნებიან (ასეთი მაგალითები დამოუკიდებელ საქართველოში უხვად გვქონდა), არამედ განსხვავებულ პლატფორმებზე მდგომი კომუნისტებიც. საქართველოში ოჯახთა წევრების პოლიტიზებაზე, მით უფრო, მათი განსხვავებულ პლატფორმებზე ყოფნის პრობლემა ატეგმარტივია და არც სასხვათაშორისო. ეს ჯერ შეუსწავლელი, აუხსნელი ფენომენია და ამიტომაც მეტად რთულია სწორად განსაზღვრო მისი გავლენა ქვეყნის ცხოვრებაზე.

ამ პრობლემის — ოჯახის პოლიტიზების სიმწვავეს საქართველო ხვალ განსაკუთრებით იგრძნობს. ეს უნდა ვთქვათ დღეს, რომ მოულოდნელად ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდეთ.

მეოთხე. საქართველოს კომუნისტურ პარტიას სახელმწიფო მართვის დიდი გამოცდილება აქვს. ხელაღებით ამის უარყოფა უაზრობაა. განხეთქილება სწორედ მართვის მოშლას შეუწყობს ხელს. ამიტომ საქართველოს კომპარტიამ ახალ პირობებში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სხვა პარტიებთან თანამშრომლობით და ურთიერთობით უნდა შეძლოს მოახდინოს გავლენა მიმდინარე რთულ საზოგადოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, წარმართოს იგი ერთი მიზნით — ეროვნული ინტერესების ყოველმხრივი დაცვის, ხალხის კეთილდღეობის გზით.

ასეთი მიზნისა და ამოცანების ქვეალობაზე, ბუნებრივია, საქართველოს კომპარტია თავის პოზიციას ისე იოლად არ დათმობს, როგორც ეს დღეს ზოგიერთს წარმოუდგენია. კონკრეტულ სიტუაციაში იგი გამოიყენებს (ეს ლოგიკურიცაა) პოლიტიკური ბრძოლის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, პრინციპებსაც. ამ მხრივ მას უპირატესობა აქვს: ხალხის საუკეთესო ნაწილი კომპარტიაშია. ამბობენ, ბევრი დატოვებსო მის რიგებს. ეს პროცესი ბუნებრივად მიმაჩნია. ასევე ბუნებრივია ისიც, რომ ერის ინტელექტუალური პოტენციალის უდიდესი ნაწილი, ბევრი ღირსეული მამულიშვილი ამ განახლებულ პარტიაში დარჩება. ამ რეალობას დღეს ბევრი უგულებელყოფს. ნუ შეეცდებით, ანგარიშში არ მოვუყუვდეთ. კარგად გავიხსენოთ ჩვენი ისტორია: ხელისუფლების მოპოვება თურმე უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე ქვეყნის მართვა. მართვას კი კადრები სჭირდება. ეს რკინისებური ლოგიკა არც ერთმა პარტიამ არ უნდა დაიგიწყოს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, საქართველოში.

დგება პოლიტიკური ბრძოლის საინტერესო ეტაპი.

ვინ-ვინ, მაგრამ კომუნისტებმა კარგად ვიცით, პოლიტიკური ძალების განლაგების არითმეტიკაც და ალგებრაც. ნებისმიერი პარტიის მიერ რეალური ხელისუფლებისათვის ბრძოლა (თუ იგი ეროვნულ ინტერესებს ემსახურება) უბერსპექტივო იქნება ამ პარტიის შინაგანი ერთიანობის, ორგანიზაციული სიმტკიცის გარეშე. სუსტი, დაქსაქსული პარტია ადვილად დაკარგავს პოზიციას, მაშასადამე, საზიზღარობის გარკვეული ფენის, ჯგუფის ინტერესებსაც შელახავს. ამასთან, სუსტ პარტიასთან ურთიერთობას არავინ მოისურვებს. გაღრმავდება გათიშვა, რაც დაეჭვეთებს პლურალიზმს, მოხდება აზრის შონოპოლიზება, შეიკვეცება დემოკრატიზაციის პროცესი, შეფერხდება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა. ამას გვასწავლის პოლიტიკური ცხოვრების კანონი.

მეხუთე. განხეთქილება, გათიშვა ხელს შეუშლის სწორი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელებას. ქვეყნის, და, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკა როგორც ზემოთ აღვნიშნე, კრიზისულ სიტუაციაშია. ასეთ პირობებში ზომ პარტია ორგანიზაციულად შეკრულ-შედუღაბებული უნდა იყოს. უამისოდ მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება — ეკონომიკური პოლიტიკა განწირულია დასაღუპავად.

აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ პოლიტიკური პლურალიზმის პირველმა ნაბიჯებმა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში გამოავლინა განვითარების მეტად დამფიქრებელი სიმპტომი: მართვის ყველა დონეზე (ბრიგადის, საწარმოს, უწყების, სამინისტროს, სასწავლებლის, რაიონის, ქალაქის) თვითთოლაციისაკენ სწრაფვა. სამწუხაროდ, იგი შენიღბულია დამოუკიდებლობის სურვილით. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ფორმულა — რასაც ვქმნი, მხოლოდ ჩემია, იგი მე უნდა მოვიხმაროო. რეგიონებში ამ ფორმულით მოქმედებამ იმძლავრა დღეს.

ზევრი, ვისაც არ აკისრია ერის წინაშე ხელისუფლებრივად პასუხისმგებლობა, ამ ფორმულას ყოველმხრივ უჭერს მხარს. მე ეს დიდ შეცდომად მიმაჩნია. მწარე მოეგლო უნდა შეეუქმნათ ოპტიმალური ეკონომიკური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური საფუძვლები, პირობები მაღალნაყოფიერი შრომისათვის. მაგრამ თითოეულის შრომის შედეგების გარკვეული ნაწილი რესპუბლიკის სწორად გადანაწილებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას უნდა მოხმარდეს. სხვანაირად რესპუბლიკა ღონეები არ იქნება. ძლიერი ეკონომიკის გარეშე არ არსებობს ძლიერი პოლიტიკური სტრუქტურა.

ამრიგად, საქართველოში ხელმძღვანელ კადრებს — კომუნისტებს აუცილებლად სჭირდებათ ერთიან პოლიტიკურ-ორგანიზაციულ საფუძველზე შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკა, ერთიანი ტაქტიკა, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია. ამჟამად რესპუბლიკაში მუშავდება ახალი ეკონომიკური სტრატეგია. ყრილობის დამთავრების მეორე ეტაპზე მთავრობა მზად იქნება წარუდგინოს იგი დელეგატებს.

* * *

და ბოლოს ერთი საკითხი:

ახლახან ჩატარებულ ზოგიერთ პარტიულ კონფერენციაზე, ასევე ცალკეული პარტიული ფუნქციონერების არალეგალურ თუ ლეგალურ შეკრება-შეხვედრებზე, სხვადასხვაგან დაისვა ხელოვნურად, მაგრამ ჩემი აზრით, გამიზნულად შექმნილი, არცთუ უანგაროდ პრინციპის რანგში აყვანილი საკითხი — უნდობლობა გამოეცხადოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და მოითხოვოთ მისი გადადგომა.

ამ საკითხზე მე არ შემიძლია ჩემი აზრი არ მოგახსენოთ.

საკითხი გადადგომის ინსტიტუტის გამოყენების შესახებ საჯაროდ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სწორედ ამ დარბაზში ჯერ კიდევ 1987 წელს შე დავაყენე, და ამაში არათუ მოულოდნელი არაფერია ჩემთვის, არამედ ამჟამადაც მხარს ვუჭერ ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ამ, ჩვენთვის რატომღაც უცხო და მიუღებელი, ცივილიზებულ ქვეყნებში კი აღიარებული ინსტიტუტის ამოქმედებას. ეს პოზიციაა ჩემი.

მაგრამ ამავე დროს, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ავანტიურიზმის ეფსეცენტრიკული ოლეებით, ამკარად უპატიოსნო ხერხებითა და მეთოდებით შეკოწიწებული მოსაზრებების განხილვისაც კი.

ვინ აყენებს, ვის შეუძლია დააყენოს ეს საკითხი? პოლიტიკური უფლება ყველას აქვს, მორალური — ძალიან ცოტას: უკანაც მოიხედოს ზოგიერთმა, შეხსიერების დაკარგვას, ამ მოდური „ავადმყოფობას“ ეგება მოერიოს.

მე თვითკრიტიკულად ვაფასებდი და ვაფასებ ჩემს პირად წვლილსა და როლს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ბევრი რამ, სამწუხაროდ, ვერ გავაკეთე, ბევრიც არ გამომიდგა მიზეზთა გამო მრავალთა. იქნებ მეტი პრინციპულობის გამოჩენა მმართებდა ცალკეული მოვლენების, პროცესების შეფასებისას. მაგრამ მოჩვენებითი თავდაჯერებლობის გარეშეა, დღეს ყრილობის წინაშე თამამად ვიტყვი: არსად, არასოდეს მიღალატია ჩემი ხალხისათვის, მისი ნდობით ბოროტად არ მისარგებლია. მთელი ჩემი არსებით, ცოდნით, რწმენით, შეძლებით ვემსახურებოდი და ვემსახურები საქართველოს, არ დამიშვია ისეთი შეცდომა, რომელიც თანამდებობრივ თუ პირად ავტორიტეტს შემლესახავდა. რაც შეეხება მუშაობაში ნაკლოვანებებს, ისინი საკმაოდ მქონდა, მაქვს. ვერ შეგპირდებით, რომ შომავალში არ მექნება.

უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, მეც, როგორც მისმა ერთ-ერთმა წევრმა, ბევრი აქტუალური პრობლემის გადაწყვეტას ჩავუყარეთ საფუძველი. დროა მივანდოთ, განსაჯოს ბიუროს წევრების საქმიანობა, მოღვაწეობა ამ მიმართულებით.

რაც შეეხება მთავრობას, — ქართველი ხალხის ცხოვრების გარდამტეხ პერიოდში ექსტრემალურ პირობებში რომ მოღვაწეობს, — მას საკმაო კომპეტენტურობა, ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობა და, რაც არსებითია, მყარი ეროვნული პოზიცია აქვს. მე მაქვს საფუძველი ეს გავაცხადო მთავრობის ყველა წევრის სახელით.

უნდა ვალიაროთ, რომ ცენტრალური კომიტეტი, ბიურო, ჩვენ — მისი წევრები სუსტად ვებრძოდით კონიუნქტურის მაწტიაში გაბედულ თვალთმაქცობას, არ გავაშიშვლეთ მისი ნამდვილი პოლიტიკური სახე, ყოველთვის პრინციპული არა ვართ საკადრო პოლიტიკის განხორციელებისას. საჭირო სიმწვავე ვერ მივეცით ჩვენს პოზიციებს. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობის სერიოზულ ნაკლად ისიც მიმაჩნია, რომ პარტიის ორგანიზაციული და იდეოლოგიური საშუალებების დიდი პოტენციალი საჭირო უკუგებით ვერ გამოვიყენეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზის განხორციელებას ვერ დაუჭეშმდებარეთ. საჭიროა გამოვიტანოთ დასკვნები, დაყოვნება დაძღუპველია.

მჯერა, რომ საქართველოს კომუნისტებს ხელეწიფებათ, მათ შესწევთ ძალა, აქვთ რწმენა, მორალური უფლება, ორგანიზაციული სიმტკიცეც, რომ სწორი გზით წარმართონ რესპუბლიკის უაღრესად რთული პოლიტიკური ცხოვრება.

ამხ. ვ. ფ. ხიშგასს სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი)



ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ყველანი ვგრძნობთ უდიდეს მორალურ პასუხისმგებლობას, რომელიც დაგვაკისრეს რესპუბლიკის კომუნისტებმა, მოგვანდეს რა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატებს გავაკეთოთ მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრების, სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფო სტრუქტურების რადიკალური შეცვლის პირობებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის შემდგომი ბედის საარსებოდ მნიშვნელოვანი არჩევანი.

რა თქმა უნდა, ყრილობაზე ხელმძღვანელი არ მოსულა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის დელეგაცია. ჩვენს აქტივშია პარტიული კრებები, საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციები, გამოსვლები პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რამაც შეადგინა ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტთა დიდი საბჭო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყრილობისწინა პლატფორმისა და სკკპ წესდების პროექტების ირგვლივ და თუ უკეთეგდებთ ცალკეული ამხანაგების უკიდურეს პოზიციებს, ამ დისკუსიის დროს გამოტანილი თავიანი დასკვნა არის მოთხოვნა ძირფესვიანად გავაანალოთ პარტია, უარი ვთქვათ მეძველებულ ურთიერთობაზე როგორც პარტიის შიგნით, ისე პარტიისა სახელმწიფოსთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და ჩვენი საქმიანობის მიზნად დავისახოთ პარტიის საქმიანობის ყველა სფეროს დემოკრატიზაცია.

აფხაზეთის კომუნისტები მხარს უჭერენ საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობის ზრდის იდეას, რომლიც რეალური შესაძლებლობა უნდა მიიღოს, რათა აღადგინოს და გააძლიეროს თავისი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამასთანავე, აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციაა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საოლქო პარტიული ორგანიზაციის უფლებათა გაფართოებას, საზოგადოებაში მისი ავტორიტეტის და ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სულიერი ცხოვრების კარდინალურ საკითხთა გადაჭრაში საპარლამენტო ტაბატუსის გაზრდის მიზნით.

და ბოლოს, ვმონაწილეობთ რა საქართველოს კომპარტიის სტატუსის განხილვაში, მიგვაჩნია, რომ ალტერნატიული პოლიტიკური ძალების მკვეთრი გაკვეთურების, ახალი პარტიების შექმნის, პოპულისტური ლოზუნგების ფართო პროპაგანდისა და გავრცელების პირობებში საქართველოს კომპარტია უნდა დარჩეს განახლებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, განამტკიცოს მასთან კავშირურთიერთობა, ამასთან მიაღწიოს სკკპ საპროგრამო დოკუმენტების შემუშავებისა და მიღებისას რესპუბლიკის კომუნისტთა პოზიციის მაქსიმალურ გათვალისწინებას.

ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაძლიეროთ საქართველოს კომუნისტური პარტიის როლი, მისი მებრძოლურობა, დავაზუსტოთ პოზიციები, დავძლიოთ აპათიისა და დაბნეულობის მდგომარეობა, რომლებიც, სამწუხაროდ, ესოდენ დამახასიათებელი გახდა ყველა ჩვენგანისათვის პირველადი პარტორგანიზაციებით დაწყებული და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტით დამთავრებული. ჩვენი აზრით, დროა ჩვენი აქტივი, პარტიული აპარატის მუშაკები შეეგუონ თავიანთი საქმიანობის ახალ პირობებს, ისწავლონ არა მარტო დათმობა და ოპონენტებთან ერთობლივ თვალსაზრისთა ძიება, არამედ საკადრისი პასუხი გასცენ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ეხება ჩვენი პარტიისა და შინაპარტიული მუშაობის ფუძემდებელ პრინციპებს.

კერძოდ, ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ დეპოლიტიზაციის ლოზუნგით ვიღაც უკარნახებდეს კომუნისტებს, სად უნდა ფუნქციონირებდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები და სად არა, თანაც კიდევ ცდილობდეს გარეკოს ჩვენი პარტიული კომიტეტები.

ჭეშმარიტი დემოკრატიისათვის უცხოა დიქტატი, ავტორიტარულობა, ძალმომრეობა. მხოლოდ პატიოსანი, აშკარა პოლიტიკური ბრძოლა უნდა დაეხმაროს ხალხს გაიკითხოს არჩევანი, დადგეს ამა თუ იმ პარტიის, ამა თუ იმ პოლიტიკური პლატფორმის მხარეზე.

ჩვენს პარტიას, რომელმაც გულახდილად აღიარა თავისი შეცდომები, სასირცხვილო არაფერი აქვს და არ ეგების უკან დახევა იმ ძალების წინაშე, რომლებიც სარგებლობენ ჩვენივე გულახდილობითა და თვითკრიტიკულობით და ცდილობენ უარყონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა რეალური მონაპოვარი, მსჯონ ოფიციალური პარტია, მისი მარქსისტულ-ლენინური არსი. პირველი თაობების კომუნისტები, თუმცა კი შეადგენდნენ უმცირესობას, როგორც იტყვიან, შეუნიღბავად ებმებოდნენ ბრძოლაში თავიანთი მრწამსისათვის. როგორც ჩანს, ჩვენც არ უნდა გამოვიჩინოთ, ასე ვთქვათ, მორიდებულობა და სულმოკლეობა ჩვენი შეხედულებების გამოხატვასა და დაცვაში, ძალაუფლებისათვის პოლიტიკური ბრძოლაში. მხედველობაში მაქვს, კერძოდ, ყველა საფეხურის საბჭოების მომავალი არჩევნების, ჩვენი ტრადიციული ზეიმობების მოწყობა, რეფერენდუმი, პარტიული და სახელმწიფო სიმბოლოების დაცვა.

დარწმუნებული ვართ, რომ, თუ საქართველოს კომპარტიას არ სურს დაიკარგოს რესპუბლიკაში შობილ ათობით სხვა პარტიასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის, იგი მტკიცედ უნდა იდგეს ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის იდეების შემოქმედებითი განვითარების პოზიციებზე, შეინარჩუნოს თავისი ორგანიზაციული ერთიანობა და იდეური შეკავშირება, ჰქონდეს თავისი უაღრესად პარტიული პრესა და მ

დელეგატთა გამოსვლები

(დასასრული)

მეორე. ამ დოკუმენტის ერთ საერთო და მთავარ ნაკლად ის მიმაჩნია, რომ პრობლემების და საკითხების სიმწვავე შერბილებულია, განლებულია. მესამე პუნქტში დინჯად, აკადემიური სიმშვიდით არის გაცხადებული, რომ კომპარტია ცდილობს კრიტიკულად გაიაზროს ვითარება.

ჩემი წინადადებაა: აქ აშკარად და მთელი კატეგორიულობით ჩაიწეროს ჩვენი დამოკიდებულება ყველა იმ ბოროტებასთან და უმსგავსოებასთან, რომლებიც თან ახლდა კომპარტიის სამოცდაათწლიან ისტორიას, რომ ჩვენ გვეკისრება ყოველივე ამისათვის პასუხისმგებლობა და დღეს არა მარტო ვგმობთ მას, არამედ ვალდებულად ვთვლით თავს, ჩვენი გაფუჭებული საქმე ჩვეხვე გამოვასწოროთ.

მესამე. ასევე არ არის გამოკვეთილად ნათქვამი საქართველოს კომპარტიის სტატუსზე. მე არ მიმაჩნია სწორად,ეს უნდა განვაცხადო მიუხედავად იმისა, დავეთანხმე დღევანდელი ყრილობის გადაწყვეტილებას, საკავშირო პარტიული ყრილობის ლოდინი, რომ მერე მისი გადაწყვეტილების მიხედვით ვიმოქმედოთ. პირიქით, ჩვენ საკუთარი პოზიცია უნდა გაგვაჩნდეს და მას უნდა მივსდევდეთ.

ჩემი აზრით, ეს პოზიცია ამგვარი უნდა იყოს: ყველა რესპუბლიკას, მათ შორის რუსეთსაც, უნდა გააჩნდეს საკუთარი დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაცია. კომუნისტური პარტიების ერთიანობა დამოკიდებულია სუვერენულ რესპუბლიკათა ერთიანობაზე. ამ ორი საკითხის გათიშვა ერთმანეთისაგან ყოვლად შეუძლებელია. თუ რუსეთი გადაწყვეტს კავშირიდან გასვლას (რისი ხმებიც უკვე გაისმის და სულ უფრო ძლიერდება), მაშინ კავშირი, თავისთავად დაიშლება. თუ არადა, ბალტიიისპირეთის რესპუბლიკების მწარე გამოცდილება გვიკარნახებს, რომ დღეისათვის კონფედერაციის ვითარებაში უნდა იცხოვრონ დამოუკიდებელმა რესპუბლიკებმაც, ანუ საბჭოლმწიფოებმა და მათმა კომპარტიებმაც. ყველა საკავშირო ორგანო კი, მათ შორის პარტიულიც, უნდა იყოს პარტიტულ საწყისებზე, სადაც ყოველი რესპუბლიკა, განურჩევლად მოსახლეობის თუ პარტიის წევრთა რაოდენობისა, თანაბრად იქნება წარდგენილი. აი, ეს უნდა იყოს ჩვენი სადღეისო ამოცანა.

მეოთხე. ბევრი რამ არის მოსაწონი ამ დოკუმენტში, განსაკუთრებით ეროვნული კონცეფცია, რომელიც გამოიხატება საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით, მისი ტერიტორიის მთლიანობის დაცვითა და ხელშეუხებლობით, ქართველი ხალხის თვითგამორკვევის დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა კონცეფციებით, სხვა ეროვნების მოსახლეობის უფლებათა შეუზღუდველობით, ერთაშორისი ურთიერთობის საკითხების მოგვარების პრინციპებით და სხვა. მაგრამ მე განსაკუთრებით მომხვდა თვალში (და გულშიც) ამ დოკუმენტის მეორე ნაწილის პირველი თავის მე-4 პუნქტი, სადაც წერია, რომ პარტია, მომყავს ციტატი: „დგას სრული რელიგიური შემწყნარებლობის პოზიციაზე".

პარტიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომაც და დანაშაულიც, ჩემი აზრით, ეკლესიის დევნა იყო. ხომ ცხადია, რომ კომუნისტურმა მებრძოლმა თეიზმმა ბევრად შეუწყო ხელი საზოგადოებაში მორალის შერყვნას. ქართული ეროვნული თვითშეგნების და ზნეობრივი საფუძვლების ჩამოყალიბებას ეკლესიამ ისტორიულად დიდი ამაგი დასდო და ჩვენ ეს ძლიერი საყრდენი მოვუშალეთ ერს.

სამართლიანობის აღდგენამ, რაც მხოლოდ სიკეთეს მოუტანს ჩვენს საზოგადოებას, თავიისი გამოხატულება პოვა ამ პარტიულ დოკუმენტში და აქ იმის სურვილია მრჩება, რომ კომუნისტური პარტიის წევრის რელიგიისადმი დამოკიდებულებაში სრული თავისუფლება უფრო გამოკვეთილადაა გაცხადებული.

მეხუთე. პარტიის ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის საკითხებს რაც შეეხება, სიამოვნებით უნდა. აღინიშნოს, რომ აქ ნახსენებიც კი აღარ არის ის „დემოკრატიული ცენტრალიზმი", რამაც გზა გაუხსნა დიქტატორებს და პიროვნების დიდ თუ პატარა კულტებამდე მიგვიყვანა. პარტიის წევრი ახლა ბევრად უფრო შეუზღუდველია თავის მოქმედებაში, მაგრამ მას დღევანდელი ვითარების შესაბამისი ერთი მთავარი უფლება აკლია, ეს არის, ჩემი აზრით, უფლება სხვა პარტიებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობისა. ცხადია, კომუნისტური პარტიის წევრი, როგორც ეს მე-7 პუნქტის „გ" პარაგრაფში წერია „არ შეიძლება იყოს სხვა პოლიტიკური პარტიის წევრი", მაგრამ მას, ჩემი აზრით, არ უნდა წაერთვას უფლება მონაწილეობა მიიღოს სხვა რომელიმე პარტიის, ან ეროვნული ფრონტის, თუ ფორუმის მოძრაობაში, როგორც თანამგრძნობმა და გულშემატკივარმა. მით უმეტეს, როცა პარტიების (მთ შორის კომუნისტურისა) უმეტესობა მთავარ საზრუნავად ეროვნულ პრობლემებს აყენებს.

მეექვსე. და ბოლოს, კიდევ ერთი, ვიცი, რომ საჩოთირო, მაგრამ, ვფიქრობ, მნიშვნელოვან საკითხს მინდა შევეხო. ჩვენ არ გემართებს თვალი მოვუხუჭოთ იმ სიძნელეებს, იმ სირთულეებს, რაც არის, და მე მინდა შევეხო იმ საკითხს, რომელიც ჩვენ ყველას გვაწუხებს, როცა ჩვენ ლენინის მოედანზე გავდივართ. როცა ვხედავთ, რა გაძლიერებული რაზმები თუ სხვადასხვა შენაერთები იცავს ლენინის ძეგლს. მე თავს უფლებას მივცემ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ. ჩვენი უბედურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, წუალო თუ საფუძველი, ჩემი აზრით, ჩვენს კერპთაყვანისმცემლობაში უნდა ვეძიოთ, რითაც, სამწუხაროდ, ცივილიზებულ სამყაროსთან კავშირი გავწყვიტეთ და ქრისტიანობის წინარე, უძველესი სამყაროს გონებადახშულ ფანატიკოს ხალხს დავემსგავსეთ. განა სიმახინჯის უკიდურეს ფორმებამდე არ იყო მიყვანილი ჩვენში დიდი თუ პატარა კულტების თაყვანისცემა, განა დღესაც შეუარაცხყოფილი არ არის თვით მისი სახელისათვის და ყველა ჩვენთაგანისათვის ლენინის კულტი. სულაც აბსოლუტური ჭეშმარიტების მატარებელი რომ იყოს ლენინიზმის მოძღვრება (რაც არ შეეფერება სინამდვილეს) და უხინჯო, უმწიკლოდ რომ იყოს ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა (არც ეს დასტურდება უკანასკნელი დოკუმენტებით), მაშინაც კი არ შეგვეფერებოდა, არ გვეკადრებოდა, არას გვარგებს მისი კერპად გახდომა, მით უმეტეს არ გემართებს ეს დღეს, როცა ბევრი, ზრდილობიანადაც რომ ვთქვათ, საჩოთირო რამ გახდა ცხობილი ლენინიზმთან და ლენინთან დაკავშირებით.

ჩვენ, ქართველები, იმას დავემსგავსეთ, რომის პაპზე უფრო გულმოდგინე კათოლიკობა ვინც მოინდომა. აბა, ვის სად გინახავთ, რომ ასი მეტრის სიახლოვეზე ორი კოლოსალური მონუმენტი იდგეს ერთი და იმავე პიროვნებისა. ეს მხოლოდ თბილისშია და ეს ლენინის ძეგლებია. ხედავთ, მოსკოვსა და ლენინგრადსაც კი ვაჯობეთ! ძეგლების რიცხვი და შეურაცხყოფა, ცხადია, უწესო საქციელია, მაგრამ არც ის არის წესიერი, რომ არაფრად ჩაგდდა საღი აზრი. ხომ შეიძლება განიხილოს პარტიულმა ორგანომაც და საბჭოთა ორგანომაც საკითხი ამ ორი გრანდიოზული მონუმენტის გვერდიგვერდ არსებობის მიზანშეწონილება თუ მიზანშეუწონლობა. პირადად ჩემი აზრით, დღეს უპრიანი იქნებოდა ძეგლი დაგვეტოვებინა ცენტრალური კომიტეტის წინ, ხოლო ისედაც ვიწრო პროსპექტი და ერთი ციცქნა მოედანი ქვეითებისა და ტრანსპორტისათვის დაგვეთმო.

ამ ტრიბუნიდან მინდა ხმამაღლა მოვუწოდო ჩემს თავს, ჩემს საკუთარ თავს (ეგზე, სხვასაც გამოადგეს ეს მოწოდება): გავუფრთხილდე პარტიის და ჩემს საკუთარ ღირსებას! (ცხადია, თუ ეს ღირსება მაქვს).

ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების დაპირისპირებასა და ყოვლად მიუღებელ გაუგებრობებს.

და ბოლოს, წარმოდგენილი პროექტების შესახებ. ჩვენი წინადადებაა, მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს კომპარტიის მოსალოდნელი გათიშვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტებში, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციასა და საკანონმდებლო აქტებში განისაზღვროს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ერების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური გარანტიები საქართველოს მოქალაქის ერთიანი სტატუსით, ისტორიული და ეროვნული თავისებურებების სრული გათვალისწინებით.

ვეთანხმებით ყრილობის მონაწილეთა საერთო აზრს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის აუცილებლობაზე. ჩვენთან, აჭარაშიც სიტუაცია რთული და დაძაბულია, მაგრამ უმართავი არ არის და დამოკიდებულია მთლიანად რესპუბლიკაში შექმნილ საერთო მდგომარეობაზე.

გვინდა რესპუბლიკის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობას გადავცეთ აჭარის მშრომელთა თხოვნა, რომ გამოიჩინონ მეტი გამბედაობა, სიმტკიცე და თანამიმდევრულობა ისეთი მოვლენების შეფასებასა და მათთან დამოკიდებულებაში, რომლებიც არ ალამაზებს ჩვენს ერს, ასუსტებს კრიზისის ჩიხში მოქცეულ ეკონომიკას, ადამიანებს უკარგავს სამართლიანობისა და სოციალური დაცულობის რწმენას. რა თქმა უნდა, ლაპარაკია არა საგანგებო ზომებზე, არამედ წესრიგსა და დისციპლინაზე ჰუმანიზმის, დემოკრატიისა და აზრთა პლურალიზმის პირობებში, რაც აუცილებელია სამართლებრივი საზოგადოებისათვის.

ჩვენი მხრივ შეგვეძლებული. გვაქვს ყველა მიმართულებით ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა და დიდი პასუხისმგებლობა დღევანდელ კრიტიკულ ეტაპზე.

ამხ. თ. ს. ხახვას სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი)



დღევანდელი ყრილობის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე არსებითად იქნება დამოკიდებული საქართველოს კომპარტიის როლი და ადგილი ერის ცხოვრებაში, მისი შემდგომი ბედი.

ახლა, როცა მრავალპარტიულობა რეალობად იქცა, მომავალი მხოლოდ იმ პარტიას ეკუთვნის, რომელიც არა მარტო ლოზუნგებით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამით, პოლიტიკით, საქმით და რწმენით იქნება ხალხთან, ერთგულად ემსახურება და გამოხატავს მის ნებასურვილსა და ინტერესებს.

მოუხედავად სერიოზული შეცდომების და ნაკლოვანებებისა, საქართველოს კომპარტიას შესაძლებლობა აქვს კვლავაც იყოს რესპუბლიკის პოლიტიკური და ინტელიქტუალური ავანგარდი, სათავეში ედგეს მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციას.

ამის საფუძველს იძლევა ცენტრალური კომიტეტის მიდგომა უკანასკნელი პერიოდის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებისადმი, ეროვნული განვითარების კონცეფცია, და აქ წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტები. ამასთანავე, შეშუშავებულ პოლიტიკურ სტრატეგიასა და ტაქტიკასთან ერთად, ჩვენი აზრით, საჭიროა გამოინახოს მექანიზმი, რომელიც სრული ძალით აამოქმედებს ორგანიზატორული, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის ყველა შესაძლებლობას.

უმთავრესი მაინც ისაა, რომ კომუნისტური პარტია მთელი ენერგიით და ორგანულად ჩაერთოს ხალხის პოლიტიზაციისა და ეროვნული მოძრაობის განვითარების პროცესში. ეს უნდა იყოს რეგიონალური და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი სარბიელი.

რა თქმა უნდა, ვაღიარებთ და სრულიადაც არ ვამცირებთ სხვადასხვა პარტიების, საზოგადოებებისა და გაერთიანებების როლს ეროვნული მოძრაობის აღორძინების საქმეში.

დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში არ არსებობს სხვა გზა და მიდგომა, გარდა სერიოზული, საქმიანი ძალების თანამშრომლობისა. საქართველოს სრული სუვერენიტეტის მიღწევისათვის ბრძოლა არის ის საკვანძო საკითხი, რომლის გარშემო ყველა უნდა შეკავშირდეს და გაერთიანდეს.

აჭარის კომუნისტების, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სავსებით ეთანხმება ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას, რომ სანუკვარ მიზნამდე შეიძლება მივიდეთ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ბრძოლის ფორმებით, თანამიმდევრულად და ეტაპობრივად. სხვა გზა სახიფათოა და მძიმე შედეგს მოგვიტანს.

მე, როგორც დელეგატს, შემომაქვს წინადადება დღევანდელმა ფორუმმა ამოცანად დაუსახოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობაზე წარგზავნილ დელეგატებს, მტკიცედ დაიცვან სუვერენულ რესპუბლიკათა და კომპარტიათა თანასწორუფლებიანობის იდეა.

საქართველოს კომპარტიის ავტორიტეტისა და პოლიტიკური გავლენის გაძლიერების უცილობელ პირობად მოგვაჩნია პარტიის რიგების ერთიანობა, სიმტკიცე და სიწმინდე. ამ მხრივ ყველა დონეზე გამოთქმული კრიტიკა სრულიად საფუძვლიანია და იგი პირდაპირ ეხება რეგიონალურ კომიტეტებსა და ორგანიზაციებს. დარწმუნებული ვართ, რომ უფრო გაბედულად უნდა ვთვისუფლდებოდეთ მერყეევი და გაორებული ელემენტებისაგან, პოლიტიკური მლიქვნელებისა და სხვა ანტიპოდებისაგან, ყველა იმთგან, ვისაც იდეურად აღარაფერი აკავშირებს პარტიასთან.

ამასთან, აჭარის პარტიული ორგანიზაციის მიერ წარმოგზავნილ დელეგატებს მიაჩნიათ, რომ უფრო მტკიცე და უკომპრომისო უნდა იყოს რესპუბლიკის კომპარტიის დამოკიდებულება გათიშვის მცდელობისადმი. საქართველოს კომპარტიის შიგნით ეროვნული და სხვა რომელიმე ნიშნით, ფრაქციებად დაყოფის ყოველგვარი ცდა, ისე როგორც ე. წ. „ინტერფრონტისა" და სხვა გამთიშველი ორგანიზაციების შექმნისა, აშკარა პროვოკაცია და მტრული წაქეზებაა.

სავსებით ბუნებრივია, რომ ავტონომიურ ფორმირებათა პარტიული ორგანიზაციები კვლავაც უნდა იყვნენ საქართველოს კომპარტიის განუყოფელი მებრძოლრაზმები და აქტიური დასაყრდენი ერთიანი პოლიტიკის განხორციელებაში.

ამ პასუხსაგები ამოცანის შესრულება და რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის მართვა ჩვენგან მოითხოვს აქტიურად ვეუფლებოდეთ ხალხთან, სხვა პარტიებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობის ფორმებსა და მეთოდებს. მოკლე დროში შეძენილმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ძალზე დიდი რეზერვია მოსახლეობასთან რეგულარული შეხვედრები, დროული და ობიექტური ინფორმირება და განმარტება აქტიურად საკითხებზე. აუცილებელია კონსტრუქციული დიალოგი განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებთან, საჭირო შემთხვევაში მათთან თანამშრომლობა.

საიდუმლო არ არის, რომ მიტინგებზე, თავყრილობებზე ზოგჯერ გაისმის ნაჩქარევი დასკვნები, მიუღებელი მოწოდებები, აქა-იქ შეურაცხყოფელი ფრაზებიც. საშეუხაროდ, ზოგიერთი ცდილობს პოლიტიკური აქციები გამოიყენოს საკუთარი ამბიციური მიზნებით, დაუპირისპიროს ერთმანეთს ხელისუფლება და ხალხი, სხვადასხვა პარტიები, ჩამოაგდოს უნდობლობა. არცთუ იშვიათია ათასგვარი პროვოკაციული ხმების გავრცელება, კუთხურობის, რელიგიურობის, პარტიულობისა და სხვა ნიშნით ადამიანთა დაყოფის ცდები.

მართალია, კონსტიტუციით დაუშვებელია ისეთი პარტიებისა და მოძრაობების საქმიანობა, როშელთა მიზანია ძალადობა, ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე ყოველგვარი შუღლის გაღვივება, მაგრამ საჭიროა საკანონმდებლო წესით უფრო დაკონკრეტდეს აღნიშნული საკითხები და დაჩქარდეს ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ამ მოთხოვნათა უცილობელ განხორციელებას და ნებისმიერი მოქალაქის უფლებათა დაცვის სრულ გარანტიებს.

ბოლო დროს საჯარო გამოსვლებსა და ცალკეულ პუბლიკაციებში კვლავ გახდა დისკუსიის საგანი აჭარის ავტონომიის სტატუსი. საფუძვლიანად, ზოგჯერ ცალმხრივად, მოუზომავად, გამაღიზიანებელი ტონით შუქდება სხვა, ცალკეული საკითხებიც. დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, მტკიცება არ სჭირდება იმ უტყუარ ფაქტს, რომ ძირძველი ქართული მხარის — აჭარის მოსახლეობის იდეალია საქართველოს განუყოფლობა, ეროვნული სულიერი ერთობა, ყოველგვარი გათიშულობისა და კუთხურობის აღმოფხვრა.

რაც შეეხება ავტონომიას და ჯერ კიდევ შემორჩენილ რელიგიურ თავისებურებებს, ეს უნდა აღვიქვათ როგორც საქართველოს ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგი. ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაში საჭიროა დიდი მოთმინება და ტაქტი, წინდახედულება და მოსახლეობის ნება-სურვილის გათვალისწინება. სწორედ ეს პოზიციაა გამოკვეთილი პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში, სადაც მითითებულია, რომ უმნიშვნელოვანესი საკითხები უნდა წყდებოდეს ხალხთან წინასწარი მოთათბირებითა და განხილვით.

აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაცია თავის უმნიშვნელოვანეს სადღეისო პროგრამად თვლის საქართველოს ეროვნული განვითარებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციებიდან გამომდინარე ამოცანების თანამიმდევრულ და განუხრელ რეალიზაციას. ამ თვალსაზრისით მუშავდება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარ მიმართულებათა კომპლექსის პროექტი, რომელიც საყოველთაო განხილვის შემდეგ ჩამოყალიბდება საოლქო პარტიული ორგანიზაციის წინასაარჩევნო პლატფორმის სახით.

გათვალისწინებულია მეურნეობრიობისა და საკუთრების სხვადახელა ფორმების შეთანაწყობა საბაზრო ეკონომიკასთან, მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებზე საგანგებო ზრუნვა, აქტიური დემოგრაფიული და ეკოლოგიური პოლიტიკის გატარება, ტრადიციული, ბუნებრივი პირობებისათვის დამახასიათებელი დარგების უპირატესი განვითარება, საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის გაფართოება. აღნიშნული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა კომუნისტთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს.

ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ვითარებას გარკვეულად ართულებს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის განსახლების პრობლემები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის, საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობის, საზოგადოებრივი გაერთიანებისა და მოძრაობების გულისხმიერების, მხარდაჭერისა და თანადგომის შედეგად მოკლე დროში დიდი შესაძლებლობები გამოინახა განსახლების მეტად რთული პროცესის მოსაგვარებლად. აჭარის მოსახლეობის სახელით უდიდეს, გულწრფელ მადლობას გიხდით უკვე გადაწყვეტილისა და სამომავლო გადასაწყვეტი პრობლემების მოგვარებისადმი სახელმწიფოებრივი და მამულიშვილური ზრუნვისათვის.

აჭარის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პირობებში დიდი მეცადინეობა მოუხდებათ ყველა დონეზე ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციისა და მართვის არსებული სტრუქტურების გამარტივების, საბჭოებისათვის ხელისუფლების რეალურად გადაცემის თვალსაზრისით. ამ საქმეში საგანგებო მნიშვნელობას ვანიჭებთ მოახლეებული არჩევნების ახლებურად ჩატარებას, მეტადრე იმიტომაც, რომ გვაქვს ემსაწონადელი საარჩევნო კამპანიის მოწყობის არცთუ ისე სახარბიელო გამოცდილება, როცა ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქში ადგილი ჰქონდა ჩხუბის ნიადაგზე. ძნელია გაიხსენო პერიოდი, როდის იყო ამდენი ქურდობა, ძარცვა, როდის იყო ასე დაუცველი ადამიანი. ბევრგან სრული განუკითხაობაა სახელმწიფო ქონების დაცვის თვალსაზრისით. საიდან გაჩნდა ამდენი ირონია და ცინიზმი. გაჭირდება მოიძებნოს შრომითი კოლექტივი, სადაც არ იყოს სერიოზული დაპირისპირება.

სახელმწიფო და პარტიული ორგანოების დისკრეტიზაციისათვის გაწლილი აქტიური ბრძოლა სულიერ ღირებულებათა დისკრეტიზაციად გადაიზარდა, უმოწყალოდ ვექცევით ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ჩვენი აზრით, ამის შედეგიც არის ახალგაზრდობის გარკვეული ჯგუფების აგრესიულობა, ახალგაზრდობაში დანაშაულობათა გაუგონარი ტემპით ზრდა.

სწორედ გაღიზიანებისა და ყალბი ლოზუნგების შედეგად დაფაპირისპირდა ერთმანეთს ტრადიციული მეგობარი ქალაქები ქუთაისი და ტყიბული. გადმოცემაც კი შეუძლებელია იმ საუბრებისა, ამ ორი ქალაქის წარმომადგენლებს შორის რომ იმართება ხშირად.

ჩვენში თითქმის ყველგან და ყველაფერში დამოუკიდებლობას მოითხოვენ. კუთხურობა, რეგიონალური და ამბიციური პატრიოტიზმი ურთულეს პრობლემებს უმზადებს საქართველოს. რას ან ვის ემსახურება ყოველივე ეს. მე ნაკლებად მჯერა დიქტატურის. მე მგონია ეს არ იქნება. მაშინებს ერთმანეთს შორის დამოკიდებულება რესპუბლიკაშიც და ქალაქშიც. მით უფრო ახლა, როდესაც უნდა შევაბიჯოთ ჩვენთვის სრულიად უცნობ, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს გზაზე ობიექტურად აუცილებელ ეკონომიკურ გარემოში, გადავდეთ საბაზრო ეკონომიკაზე, რომელიც თავისი მასშტაბით ურთულეს გამოცდას მოგვაწყობს, და თუ ერთმეშტად არ შევიკავრებით, საერთო პროგრამას არ გამოვიმუშავებთ, შეიძლება ჩვენი ხალხისთვის უმძიმესი შედეგებით დამთავრდეს ყოველივე ეს. სწორედ ამიტომ თითოეული მოწოდება, პოლიტიკური აქცია თუ მოქმედება უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა აიწონ-გაიწონოს ყველა იმისაგან, ვინც გარეგან უყურებს მას ან კიდევ მონაწილეობს ამ აქციებში.

ყოველად შეუწყნარებელ ფორმებს იძენს თაობათა დაპირისპირება. არათუ მთელი საზოგადოება, ოჯახებიც კი ირეკა ამ ნიადაგზე. ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ ბაბუას, შვილს და შვილიშვილს ვერ მოუძებნიათ საერთო ენა.

ცდები იმისა, რომ მხოლოდ უფროსი თაობები დავადანაშაულოთ ყველაფერში, წავართვათ მათ ისტორია, გავაყალბოთ ბიოგრაფია, სასიკეთოს ვერაფერს მოუტანს ქართველ ხალხს.

ჩვენ რეალურ გარემოში ვცხოვრობთ და იგი გვაიძულებს მეტად ვიფიქროთ მომავალზე, ვიდრე წარსულზე. სწორედ ამიტომ ვეკონენებთ ნაფიდადებას, რომ ჩვენმა ყრილობამ მიმართოს კომუნისტებს, მთელ საქართველოს იმის თაობაზე, რომ ხვალინდელი საქართველო — ეს არის ერთ მუშტად შეკრული, კონსოლიდირებული თაობები და ხალხი. ვფიქრობთ, ასეთი ტექსტის მომზადება სარედაქციო კომისიაში შეიძლება. ჩვენი აზრით, ყრილობის სახელით ასეთი განცხადების გაკეთება ამ ეტაპზე სასიკეთოდ იმუშავებს.

კომუნისტები მძიმედ აღიქვამენ კრიტიკას, რომელსაც მათ მიმართ დღეს ყველა ტრიბუნიდან გაიგონებ. არ არის საჭირო იყო დიდი ფსიქოლოგი და სოციოლოგი, რომ გამოიტანო დასკვნა: ასეთი კრიტიკა დაპირისპირებულ ძალებად აჯგუფებს საზოგადოებას, ამას კი ყოველთვის შეიძლება მოჰყვეს კონფრონტაცია.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ბევრისთვის (და არა მარტო კომუნისტებისათვის) პარტია იყო და რჩება პატიოსნებად, სიწმინდედ, მამულიშვილობად. არ გამოვიცხავ იმას, რომ პარტიაში ზოგიერთი კარიერისტული მიზნით შევიდა, მაგრამ დიდი ნაწილი ხომ მხოლოდ იმის შემდგომ მიიღეს, როცა კარგად შეისწავლეს მისი ოჯახისა და ახლობელთა წრე. სწორედ პიროვნებისა და ოჯახის წევრთა პატიოსნება და სიყანსაღე გახლდათ ბევრისთვის პარტიაში მიღების საფუძველი.

ვის აძლევს ხელს დღეს საზოგადოების დაყოფა კომუნისტებად და არაკომუნისტებად, კომუნისტებად და ეროვნულებად? ძნელი არ არის ამის გარკვევა! საქართველოსთვის დღეს თითოეული კაცია საჭირო, და ლანძღვა-გინებანი ადამიანებს სიცოცხლე არ უნდა მოვუსწროფოთ. ამაზე არაზნეობრივი არაფერია. დამერწმუნებიან, ბევრი ვეტერანი რა მდგომარეობაშია. ბევრს დღეს იმით მოაქვს თავი, რომ პარტიიდან გადის. ზოგიერთი ამას სანახაობით ღონისძიებადაც კი აქცევს.

კარგად უთქვამთ, ადამიანი კრიტიკულ მომენტში გამოჩნდებაო!

როცა პარტია ერთმმართველი და წარმმართველი იყო და ეს კონსტიტუციით იყო განმტკიცებული, მისი წევრები ვიყავით, ხოლო როცა დღეს ეს პოზიციები კონკრეტული მუშაობით, პარლამენტარულ ბრძოლაში უნდა მოიპოვო — მისი რიგებიდან გავდივართ.

გასვლაც ბუნებრივი პროცესია, იგი კატასტროფას არ ნიშნავს.

ჩვენ მივდივართ ნამდვილად დემოკრატიული, დამოუკიდებელი და პარლამენტარული პარტისაკენ, რომლის მთავარი ამოცანა იქნება სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და მისი აღორძინება, და ვისაც არ სურს ამ რიგებში ჩვენთან ერთად იაროს და იმოქმედოს ასეთი პარტიის შექმნისათვის, გავიდეს მისი რიგებიდან. სწორედ რომ უნდა გავიდეს.

მიგვაჩნია, რომ დღეს, როცა კომუნისტებს ასე შეურაცხყოფილად გვლანძღავენ, ჩვენ უნდა დავძლიოთ ამის გამო გამოწვეული უარყოფითი ემოციები, არ ავყვეთ მათ, ლანძღვა-გინებას ლანძღვა-გინებით არ ვუპასუხოთ. პარტიის ავტორიტეტი კონკრეტული საქმეა, კონსტრუქციული დიალოგისა ყველა პარტიასთან და საზოგადოებასთან, რაგინდ დაპირისპირებულიც უნდა იყვნენ ისინი. დაე, ხალხმა გასაჯოს, ვინ ვინ არის. ვისურვებდი კი იმას, რომ რესპუბლიკაში არსებული ოპოზიციური ძალები მთელ რიგ საკითხებში მოქმედებდნენ ერთიანი პროგრამით, ამით მოიგებს საქართველოც და ქართველი ხალხიც. ისიც ვთქვათ პარდაპირ, რომ დღეს არსებული დაპირისპირება მძიმედ პირველ რიგში ხალხს, სწორედ ხალხს აწვება, მის პირობებს აუარესებს.

არ შეიძლება დღეს არ ითქვას ძალადობის იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც შეინიშნება რესპუბლიკაში. ზოგიერთი ქადაგებს დემოკრატიას და ცივილიზებული სამყაროსათვის მივიწყებული, საერთოდ ისტორიის სანაგვეზე გადაყრილი ფორმებით და მეთოდებით კი მოქმედებს. ამას ვხედავთ ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ვთქვათ პირდაპირ, ხალხი შეშინებულია ე. წ. პიკეტებით, კარის აკეტვით და სხვა, ჩვენი ერისათვის მიუღებელი და შეურაცხყოფელი ფორმებით. ზოგიერთი ამბავი თავის სიძლიერეს, თვითდამკვიდრებას, ყოვლისშემძლის სახელის მოპოვების საშუალებას ხედავს.

ისტორია ყველას და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს, მაგრამ დღეს ხომ შეიძლება ამას კონფრონტაცია მოჰყვეს. საკითხავია, ვინ აგებს პასუხს ამისათვის?

დღეს, როცა მიზანი გარკვეულია და საერთოდ ჩვენ მივდივართ დამოუკიდებელი საქართველოსაკენ, ყველა ასეთი მოქმედება უნდა შეფასდეს ანტიეროვნულად მხოლოდ და მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ვიღაცას უნდა მოიპოვოს თანამდებობა, ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება.

დღეს ილია ჭავჭავაძეა საჭირო, რომ გაბედულად, უშიშრად შეძლოს ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას, ვინც არა ჰგავს კახაბერსა, არ უწოდოს კახაბერი. გულდასაწყვეტია, რომ ჩვენ ერთმანეთს შეეყურებთ, მოქმედებას მხოლოდ ზემოდან — ხელმძღვანელისაგან მოველით, თანაც მომთხოვნელობის გამაკცრებას, და თვითონ კი, იმის შიშით, მოოლატე არ დაგვარქვანო, არაფერში ვერევით, მოვლენებს გვერდიდან შეეყურებთ.

ჩვენი ხალხის დამრაზმველი, გამამთლიანებელი სიტყვა ასეთ კრიზისულ მომენტშია, მე ღრმად ვწვამს, რომ ეს ასე უნდა იყოს, ჩვენმა სახელოვნამ მეცნიერებმა და შემოქმედებმა უნდა თქვან. თქვან მართლად და უშიშრად. ასეთი ძალა არის საქართველოში. საქართველო ელოდება მის აქტიურ გამოვლენას. ღრმად მწამს, რომ ეს სჭირდება არა პარტიას, არამედ საქართველოს, მის მომავალს.

პარტიისათვის არც ერთ ეტაპზე არაფერს არ მიუყენებია ისეთი დარტყმა და ზიანი, როგორც შიდა დაპირისპირებამ, დაპირისპირებას. ამის ნიშნები დღესაც გვაქვს. ისინი ძირშიეე უნდა მოისპოს. როგორც არასდროს, დღეს გვერდში კაცური დგომაა საჭირო. რატომ გვგონია, რომ მაინცდამაინც ხელმძღვანელი უნდა ვიყოთ, რომ საქმე ვაკეთოთ. ვისაც დღეს რომელიმე თანამდებობის მუშაკის შურს — იმაზე შურიანი კაცი არ ყოფილა ამ ქვეყანაზე, მგონია, რომ დღეს კაცური, მამაულიშვილური თვისებების მქონე რიგი კაცს მეტი გაკეთება შეუძლია, ვიდრე რომელიმე რანგის ხელმძღვანელს. დღეს როცა ეს ერალობაა, გაუგებარია ზოგიერთის ლტოლვა ყველა საშუალებით მიაღწიოს თანამდებობას. ასეთი ხალხი დროზე უნდა შევაჩეროთ. ჩვენ კი, ვინც გარკვეულ თანამდებობებზე ვართ, უნდა ვბრუნდებოდეთ რიგით თანამდებობაზე. ხალხი ამას კარგად შეაფასებს. მთავარია კაცი იყო — ცხოვრება მხოლოდ ამისთვის ღირს.

პირადად მე ძალიან განვიცდი, რომ ასეთ მძიმე პერიოდში მიმიწია ასეთ თანამდებობაზ